


# ლიტერატურული გაზეთი

№18 (130) 3 - 16 ოქტომბერი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



## მაია სარიშვილი

\*\*\*


ასეც შეიძლება მოხდეს:  
ვინც გიყვარს და აღარ გეძახის,  
ქვასავით მიაწოდო შენი სახელი,  
როცა მტაცებელი გამოეკიდება...  
ამაზე ფიქრი მალიმებს,  
თუმცა, ცხადია, აქ ისევ ცივა.  
ყველა მატარებელი გასულია ყველა ბაქანიდან.  
ყველა გზაშია. აღარავინ დგას ბილეთების რიგში  
და სადგურებში შუქი ანთია მაინც  
და მოლარეებს სძინავთ სრულ სიჩუმეში.  
კვირა თენდება, უქმე დღე —  
მოფლანგული ჰაერით.  
პალტო ვინროა და ნაბავშვებარი მუცელი,  
რომელიც აღარ შეიკუმშა,  
უჯვრო გუმბათივით დგას პალტოს გარეთ,  
თქვენკენ, თქვენი სამყაროსკენ,  
ვინც აღარა ხართ არსად,  
არც ამ სადგურში.  
ტყუილად ვიარე.

1

\*\*\*

გამთენიისას დაიწყეს ჩხუბი უცხო კაცებმა.  
მათი ხმა იყო ისეთი ბასრი,  
ქუჩა მორჩილად აყირავდა  
და ცხვარივით ატყავებდნენ მას ყველა სიტყვით.  
შაშვებს — ახალგაღვიძებულებს,  
გალობა ჰქონდათ ისეთივე,  
როგორც წინა დღეს.  
მათ არ ეხებათ ეს ამბები, ასეთი დილა,  
როცა კაზინოს კიბეებზე ტეხილად ჩანს  
ამათი ჩრდილი —  
მთვრალ კაცებთან ატუზული  
და მთვრალ კაცებზე  
ოდნავ დაბალი ანგელოზების.  
გამთენიისას შაშვებს, ახალგაღვიძებულებს,  
გალობა აქვთ ისეთივე, როგორც წინა დღეს  
და იმ ხეებზე, რომლებზეც სხედან,  
გაკრულია ავადმყოფ ბავშვთა ფოტოები,  
რომ სჭირდებათო დახმარება.  
ძნელია ასე — სამყარო იყოს სულ მაღალი,  
სულ განიერი,  
რომ სამყარო აწარმოებდეს სიტყვებსაც კი,  
როგორც ბორბლებს.  
რომ სამყარო დროის სწრაფად გასაგორებლად,  
სულ ყველაფერს აწარმოებდეს,  
როგორც ბორბლებს.

2



და ამ დროს კი ხმა გავარდეს,  
რომ ისევ და ისევ ვარსებობ  
და უძველეს საფლავებამდე  
გადამეყვლიფოს ყველა გზა  
და ვერ მივაგნო სად დამინახეს.

\*\*\*

ერთხელაც დაღებდა შიშის ღეროები ისე,  
როგორც წყალში დიდხანს ჩარჩენილი  
მცენარეები წებოვანდებიან  
და ლორწოთი ეფარებათ  
ოდესლაც მკვრივი ღერძები,  
რაზეც თვითონ ყვავილი დგას —  
უკვე მომჩვარული, უმტვრიანებო,  
დამოკლებული, მომუშტული ფურცლებით.  
ჯერ კი შიში. ყოველ ღამე  
ძილის კონვერტში რომ ვსხდებით  
სიკვდილთან მიწერილი წერილებივით  
და დილაობით უკან რომ ვბრუნდებით,  
თუ მისამართი არასწორია.  
ან ასეთი შიში —  
შუალამისას ფარდების რხევა ღია ფანჯრებთან —  
უსიყვარულოდ გათხოვილი  
პატარძლების ამბებს რომ ჰგავდეს —  
ქუჩისა და ოთახის წყვილადს შორის  
მოფრიალე კაბა  
დაბმული იყოს რკინის კბილებით  
და არც იხდებოდეს და თან ფრიალებდეს მაინც.

3

## ლელა ცუცქირიძე

\*\*\*

ნისლებია, ჩაიში ჩამბალი ორცხოობილა,  
მთებია, მიწაზე დამცხვარი ნაზუქები,  
ღრუბლები — ბებიები, ბავშვ ვარსკვლავებს  
მთვარით — თონის პურით ასუქებენ.  
მინდვრები დეიდის მოქსოვილი  
ლურჯმწვანე მელანჟის ჟაკეტია,  
აქეთ ბეგქონდარა მოუქარგავს —  
იქით — მრავალძარღვას რაკეტები.  
სახლები მოხუცი პაპებივით  
პაპიროსს წვევენ და ჭრიანლებენ.  
და გათენებაა უცნაური —  
ნამდვილი ალუბლის ჭრიანტელი.  
წვიმები — შემთვრალი ბიძებია,  
ყველა ფანჯარასთან ლილინებენ,  
თუმცა შემოდგომა მოილიეს,  
არ იქნა მაგათი დაღვინება.  
მერე კი ქარები — ბიცოლები  
ბუზუნით ფერთხავენ საკვამურებს.  
ცვივიან ბუზრიდან ნაკვერჩხლები —  
წითელი სანტა-კლაუსები...  
შუადღე — მზის პომპონით განყოფილი,  
დედის ნაჩუქარი თბილი ქუდი...  
არადა, რიგითი დღეებია,  
რიგითზე რიგითი, თბილისური.

||

4

ლელა ცუცქირიძე



ნუკრი ფირცხალავას ნახატი

პირველი სიყვარული

რა უხერხულია პირველი სიყვარული,  
პირველი ლიფივით უხერხული.  
თან გრცხვენია, თან ამაყი ხარ,  
თან მხრებში გხრის და თან თავი — ცისკენ.  
იფიცებ, რომ მორჩა!  
ალარასდროს, ალარასდროს გაიხედავ მისკენ  
და სალამოს, გაბრაზებული,  
ბალიშის ქვეშ ჩურთავ  
ან კარადაში მალავ საგულდაგულოდ.  
მაგრამ ნითელი ზოლი ტანის გარშემო გრჩება,  
როგორც მაშველი რგოლი.  
და თამამად მიცურავ  
მკვახე ბავშვობით დახუნძლული ნაპირიდან  
მეორე ნაპირისკენ,  
სადაც აკრძალული და გემრიელი, მწიფე ხილით სავსე ბალია.  
ბალთან კი ველოსიპედის ვერცხლისფერი ზარი რეკავს  
და შენ გიხმობს.

ღეიღა

განცხადება ნავიკითხე,  
ამ „ზინგერს“ ყიდით?  
ჩემს დასაც ზუსტად ასეთი ჰქონდა.  
იდგა ვინრო დერეფანში,  
როგორც ბაქანზე გაჩერებული ცალბორბალა მატარებელი.  
ჩემი და ლამაზი იყო,  
სადაფისფერი თმა ჰქონდა, სადაფის ზედაპირით დატალღული  
და ჰქონდა ცისფერი, ცისფერი თვალები.  
კარგად კერავდა.  
მასხოვს, პირველად ჩაისვარდებიანი კაბა შემიკერა.  
ჩაის ვარდები უყვარდა, ღობესთან ერგო.  
ჩაისვარდებიანი ფინჯნები ჰქონდა,  
ჩაისვარდებიანი ფარდები  
და კანიც — ჩაის ვარდის ფერი.  
ჩემი და კარგად კერავდა-მეთქი, იმას ვამბობდი.  
სახლში მისი ნაქონი  
იისფერზოლიანი ჩითის ტომსიკა მაქვს — ლილებით სავსე.  
არ გაგეცინოთ, ლილებს თავ-თავისი ისტორია აქვთ,  
ადამიანებივით.  
წარმოიდგინეთ,  
დგანან „ზინგერს“ ხის ბაქანზე და ცალბორბალა მატარებელს ელოდებიან.  
მერე სხდებიან ჩითის თუ შალის ფერად-ფერად ვაკონებში,  
აბრეშუმის და ბამბის ძაფის ფერად-ფერად ლიანდაგებს მიჰყვებიან  
პატარა და დიდი მგზავრები,  
ყველა თავის ბაქანზე ჩადის:  
თეთრ ლილს პერანგი ელოდება მოუთმენლად, იქვე, ბაქანზე,  
გულისპირზე მიდებული ერთი ყვავილით,  
ფენმძიმეავეთ მუცელამობურცულ ვარდისფერ ლილს — ბუშტებიანი პატარა კაბა,  
მოხუცი მასწავლებელივით სიფრიფანა ლილს — შიფონის თეთრი კოფთა,  
ყელთან გამობაფთული ლურჯი ატლასით,  
ოქროსფერ ლილს — ფრიალა ქვედაბოლოები შავი წინწკლებით,  
თითქოს უდარდო, ახალგაზრდა გოგონები ბაქანზე სეირნობენ,  
მზესუმზირას აკნატუნებენ და  
მშვიდობით დაბრუნებული ჯარისკაცებისკენ გაურბით თვალი.  
ერთი ცხოვრება მარტო ამ შეხვედრებისა შეიძლება მოყვებ...  
ყველა ლილს თავისი ძველი წინაპრების იერი დაჰკრავს —  
გახუნებული კიტელების, ახალუხების,  
სატიანის პერანგების,  
გაბარდინის სამხრეებიანი ლაბადების,  
კრეპუორუტის თხელი კაბების,  
ნაცრისფერი გალიფების...

ლევან ლორია

დღეს ლექსების წერა უნდა დავიწყო

სწ, დღეს ლექსების წერა უნდა დავიწყო — ახალი ავტოკალამი მაქვს და ხო უნდა გამოვიყენო. მერე რა, რომ წვიმს? ზუსტად ლექსის საწერი ამინდია. მერე რომელიმე ცნობილი გამომცემლობა დაიტაცებს ჩემს ხელნაწერს, გამოვა წიგნი, მოენყობა პრეზენტაცია, სადაც ასობით ჩემი თავყვანისმცემელი შემოანგრევს დიდი დარბაზის კარს და დაიტაცებენ ჩემს წიგნებს. მე უკანა კარიდან გამაპარებენ, ფანატიკოსთა ბრბომ რომ არ გადამთელოს. ჩემი ლექსები კი შევა მსოფლიოს ხალხთა პოეზიის ანთოლოგიაში, თუ რაც ქვია? რა ვიცი, რა ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ხომ შევა... მერე წარმადგენენ ნობელის პრემიის კანდიდატთა სიაში, პრემიასაც ავიღებ, მაგრამ ფული მაინც არ დამრჩება, იმიტომ, რომ ბევრი ვალი მაქვს და ეს თანხა ვალეხსაც არ ეყოფა.  
ყველაფერი კი ასე დაიწყო: გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო. თანაკურსელებმა და სკოლის ამხანაგებმა გაავსეს ჩემი ბინა. ვისაც ადგილი არ შეხვდა, საჩუქრები დატოვეს და წავიდნენ. ზოგი უკან აპირებდა საჩუქრის ნაღებას — სადმე სხვაგან წავალთ დაბადების დღეზეო. მაგრამ მე არ გავატანე. ის კი არა, ვეხვეწე კიდევ ყველას, დარჩით-მეთქი. ფეხზე ხომ არ ვიდგებითო? აბა, მე ხომ არ დავგები ფეხზე, იუბილარი ვარ-მეთქი და ზოგი დარჩა, ზოგიც — წავიდა. ერთმა, შემშლია, სხვაგან მივდიოდით და საჩუქრის უკან ნაღებას აპირებდა. რა თქმა უნდა, არ გავატანეთ. თან ჩვენგან მიიღო საჩუქრად „სინიაკი“ მარცხენა თვალზე. ამ დროს ბეჭემოტა გამორჩნდა ნახევარი ტორტით. მეორე ნახევარი სად არისო? — გოგოებმა ჰკითხეს. გადამივარდაო. არადა, ტურნებზე ეტყობოდა, რომ ტყუოდა.  
თამადად ერეკლე ავირჩიე. ის არც ჯგუფელია, არც კლასელი. მით უმეტეს, არც მეფე ერეკლეა. ჩვენი ნაკრების თამაშზე ჩემს ადგილს რომ ვეძებდი, შემთხვევით ფეხი დავაბიჯე. მერე მთელი

თამაშის განმავლობაში დამდეგდა — მეც უნდა დაგაგდა, არ გავიზრდებიო. არადა, ორი მეტრი იყო უკვე. მე ახალი ფეხსაცმელი მეცვა და ამას როგორ დავაბიჯებინებდი ფეხს. არ მომეშვა მაინც. მერე მეზობელი დავინახე. ვალი ჰქონდა ჩემი, ათი ლარი (ერთადერთი კაცი მთელ სამყაროში). ხუთი ლარი „რასხოდი“ იყოს, ამ კაცს ფეხი დაადგმევინე-მეთქი. კარგო, იმანაც და დადგა ერეკლე ფეხი. ახლა ეს ჩემი მოვალე მოგვედგა, კიდევ დავაბიჯებინებ და კიდევ გამირასხოდე ხუთი ლარიო. ის თამაში, ფაქტობრივად, არც მინახავს. ყველაზე უფრო ზრდილობიანი მაყურებლები ყვიროდნენ, ამის ყურებას, „სვარკისთვის“ გვეყურებინა, ჯობდაო! ერთხელ ვუყურე „სვარკას“ — დამინტერესა, რა იყო, და სამი დღე ვტიროდი. მოკლედ, ამ ამბის მერე მე და ერეკლე მაგრად დავძმაკაცდით, ფეხბურთზე სულ ერთად დავდიოდით და მერე ერთად ვტიროდით ლუდით გაჭყეპილები. მაინც ვერ დავადგინეთ, სად ჯობს სიარული, ფეხბურთზე თუ მშენებლობაზე. ყველაფერ ამასთან ერთად, ღვინო ერეკლემ მოიტანა და თამადად რომ არ ამერჩია, შეიძლება, გაბრაზებულიყო და უღვინოდ დავრჩენილიყავით.  
გაჩაღდა ქეიფი... ჩემი სადღეგრძელოს მოლოდინში ამყად გავიფიქრე. „ეჰ, დედის გული რა ვთქვი, თორემ შენ რა გასაზრდელი იყავი“ — დაიწყო ერეკლემ. თავი ჩავქინდრე და ასე დასჯილი ბავშვივით ვუსმენდი, როგორ მლანძღავდა ათი წუთი. მერე თამადას დანარჩენებმაც ხალისით აუბეს მხარი. ბარე ნახევარი საათი მასწორებდნენ მინასთან. საპასუხო სიტყვაში — ამას, აბა, სამადლობელს როგორ დავარქმევდი, მე გამოვედი: ეჰ, — ამოვიოხრე, — ის მაინც მითხარით, რამდენს მისჯით, დამცველი რომ ავიყვანო-მეთქი. დაიწყეს სიცილი. რა აცინებდათ?! არ ვიცი, არ ვიცი...

ხშირად ვხსნი-ხოლმე იისფერზოლებიან ჩითის ტომსიკას, როგორც საოჯახო ალბომს, მაგიდაზე ვშლი ფერად ლილებს და ფოტოსურათებივით ვათვალიერებ. აი ეს, ვერცხლისფერი ლითონისა, რამდენი რამე შემიძლია მასზე მოგიყვებო. მოგიყვებო იმ სალამოებზე, ჩემი დის ქმარი რომ ბრუნდებოდა. ის მეზღვაური არ ყოფილა და შავ შინელზე ამის გამო არ ეკერა ვერცხლისფერი ლითონის ლილი. რკინიგზაზე მუშაობდა, იქაც, როგორც თავის პატარა სახლში, ქვანახშირის ლუმელს აგუზგუზებდა. მაგრამ ჩემს დას ყოველდღე ისე უყურებდა, როგორც შორეული ზღვაოსნობიდან თვეების მერე დაბრუნებული მეზღვაური თავის საცოლეს. რომ იცოდეთ, როგორ უყვარდა თავისი ლამაზი ცოლი... როცა ჩემმა დამ ჩაის ვარდები სულ ჩამოკრიფა ეზოდანაც, ფინჯნებიდანაც, ფარდებიდანაც, და შაქრის ნატეხივით ჩაღნა ნისლეტში, წავიდა ჩემი დის ქმარი და მდინარის პირას დადგა. ისეთი ადგილი შეარჩია, უკაცრიელი ბაქანივით — არავინ ირგვლივ და არაფერი, მხოლოდ ბარდები. ბარდებზე მებაღური ობობების ბადე იყო გადაფენილი, და ისიც, ბადეც, მიტოვებული, ალაგ-ალაგ ქარისაგან ამოხეული. იდგა ჩემი დის ქმარი, მღვრიე მდინარეს ჩაჰყურებდა. წყალი მიდიოდა ჩქარი მატარებელივით. ასეთი მატარებლები უკაცრიელ ბაქანთან არ ჩერდებიან. ის კი მაინც იდგა და მდინარეს იმდენ ხანს ჩაჰყურებდა, სანამ წყლიდან, როგორც მატარებლის ვინრო ფანჯრიდან, ჩემმა დამ არ ამოანათა ცისფერი, ცისფერი თვალებით. ალბათ გაუღიმა კიდევ, ალბათ ხელიც დაუქნია... როცა მდინარემ ჩაიარა, ჩემი დის ქმარი აღარსად ჩანდა. ბაქანი იყო უკაცრიელი, ბევრად უფრო უკაცრიელი.

რამდენი ვილაპარაკე, ნუ წუხდებით, რა მოხდა, თუკი უკვე გაიყიდა თქვენი „ზინგერი“. მე ჩემი დის სახანავად მოვედი. ხომ მოვუსწარი, ვნახე.





ვანო ჩხიკვაძე

შორს დარჩა ყველა ჟანა და ემმა —  
ივინყებს ხსოვნა მას, რაც ძველია —  
უმშვენიერეს ღმირის ემალს  
დრო ფშხალავს — ჟამი უღმობელია.

ვემშვიდობები საყვარელ სიზმრებს,  
ვზივარ და წვიმის მონოლოგს ვისმენ...

„ახალი რეალობა“

„ფურთხის ღირსი ხარ...“  
აკაკი

შეიცვალა თემები,  
დატკბი, მომილოცია,  
ლურჯი ქრიზანთემები  
ქრიზანთემებს კოცნიან.

ჩემო თვალის სინათლევ,  
ვილა გეტყვის მისამდერს —  
ეს აგინებს, ის აქებს  
რომანტიკულ ცისა ფერს.

შენც დაგიგეს ხაფანგი —  
„რეალობა ახალი“ —  
როგორ გამრავლებულა  
ძუკნა ძაღლის ნაყარი.

საშიშროლოდ სხდებიან —  
თუ არ შევეგუებით,  
ისევ გვემუქრებიან  
დემოკრატი ბუები.

გული ბევრჯერ მომიკალ,  
უიმედო იმედო —  
იმის ღირსიც არა ხარ,  
ფურთხი რომ გავიმეტო!

გარეთ აცივდა, სულშიც აცივდა,  
სევდის ღრუბელი ადგას მთაწმინდას —  
დღეს შეიფარა ერთი ობოლიც,  
ტორტმანებს ხალხი,  
წუხს მიკროფონი.

ავანსცენიდან უხმოდ გადის მზე,  
აქ კი მჯილს იცემს ვინმე იუდა,  
და ელიმება მის ცრუ ქადილზე  
მას, ვინც ილიას ფერხთით მიუწვა.

ეგონა ძალი გამოეკიდა,  
თურმე ქარით გაბერილი,  
შავი ცელოფანის პარკი მისდევდა —  
დაენია და წვივზე მიელაქუცა.

პირიქით რომ მომხდარიყო? —  
პარკი ჰგონებოდა და  
ალრენილ ნაგაზს,  
უკანალი გამოებდღვნა?..

შავი პარკი —  
ქარის საბუდარი!

მოვა?  
არ მოვა?  
ვერცხლის გვირილებს  
ალარ გვიგზავნის ციდან უფალი.  
მინდორზე თოვლი ალარ ბიბინებს,  
არც ხრამუნის ხმა, არც საუბარი.

მზიან ამინდებს ცვლიან ბინდები,  
სხვაზე დარდობენ, სხვისთვის მღერაინ.  
ფიფქით თუ არა, ვერცხლით მდიდრდები,  
ჩალისფერ თმაში რომ გაერია.

ლრიჭოში ძვრება ნიავნანნალა,  
ადრე თუ გვიან, სად წავა, მოთოვს.  
თეთრი იანვრის ქარი აწვალებს  
გულს — მოსაწყვეტად დაკიდულ ფოთოლს.

ქახილი

მე ვარ ყვავი, დაცლილ სოფელში  
სალაყბოს ქვაზე დაფრენილი.

ვის ვკითხო, ანდა ვის სჭირდება ჩემი ყრანტალი:  
— სად არიან ის მეხრეები, გუთნისდედები  
ან მათ დაკოჟრილ ხელებში შემაცქერალი ოჯახები,  
დედები, მამები, შვილები და შვილთაშვილები,  
უილაჯო ბებრები და მტერ-მოყვარენი,  
კარზე მომდგარი მათხოვრები, სოფლის გზირები,  
ქვრივ-ოხრები და ღამის ქურდები?..

\*\*\*  
ეს ცხოვრება ასეა,  
ქალი საშოვარზეა.

შეიცვალა როლები,  
გული ჯავრით სავსეა —  
კაცი საჩეჩელს უზის,  
ცოლი — ალზევანზეა.

ისეა თუ ასეა,  
სჯა-ბაასი რაზეა,  
ქალი საშოვარზეა,  
ქალი საშოვარზეა.

\*\*\*  
მინდორში ერთი ხე იდგა,  
ისიც წაიქცა.  
გახმა.  
ვინც ხსოვნის ქაღებს დღეიდან  
დააწყებინებს ჩახჩახს —

წავიდა ბერი დავითიც,  
კვალში ჩაუდგა ამქარს.  
ბედნიერი ხარ, სამშობლოვ —  
გყავდა, იცოცხლა, მარხავ.

შენთვის გვირგვინის დამდგმელი  
ნეტავ თუ ვინმე დარჩა —  
მკერდზე მჯილი რომ დაიკრას,  
ასეთი კაციც არ ჩანს.

\*\*\*  
ალარ გიხარებს გულს ფერადები,  
წვერნატეხილა ძველი ფანქრები,  
გადალეკილი იმ ნიაღვრებით  
შენც ნიაღვრები და ვერანდები.

ენაცვლებიან ავდრებს ავდრები,  
მეც სიძულვილის შხამით დავთვრები.  
მოუსავლეთში გადავვარდები,  
ან გავგიჟდები,  
ან გავთათრდები.

რატომ ცურავენ სისხლში ვარდები,  
ნითელ ფურცლებზე ჩემი სისხლია.  
ორივეს ერთად (მძევლად ვბარდებით)  
მაჯაზე ძარღვებს გადაგვიხსნიან.

დაშვებულა ღრუბლის ფარდები,  
არც გახსენდები,  
არც გედარდები.  
ლალატის ცეცხლი უფრო ავდება  
და მეორდება მძიმე კადრები.

ავანოკო ის საბუდარი,  
ვინც თქვა,  
მომხდურის ერთი ფრჩხილიც გჯობს,  
თუ დარახტული უცხო ქურანი  
შენს ღვთიურ მკერდზე მეც ვაჯირითო.

განუდგე დედის ცრემლიან ნამნამს,  
არ გეამბორო, ტაძრის ფიქალი.  
კუპრმა დამთუთქოს,  
მდულარემ დამწვას,  
მკერდს ნაღვერდალი გადავიყარო.

ალარ გიხარებს გულს ფერადები,  
წვერნატეხილა ყინვის ფანქრები,  
სულშებერილი, როგორც სანთელი,  
შენთვის ავენთე, შენთვის ჩავექრები.

თავს ეხრი, დიდების ფერფლო, ნახშირო,  
თუ მეც სხვებზე ნაცარი ვქექე,  
დრო არის თითი რომ მომაშვირო:  
— ჯვარს აცვი, ეგე!  
— ჯვარს აცვი, ეგე!

\*\*\*  
უცებ გაცივდნენ ტრიბუნებზე ყვითელი ზვირთები,  
ალტაცების ვულკანი  
სტადიონის ხორხში ჩაიქცა —  
თავზარდაცემულო ბრაზილიავ,  
მიიღე ჩემი სამძიმარი,  
მოზიარე ვარ!..  
ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ,  
შენ თასი დაკარგე,  
მე — სამშობლოს „ქვა-ღორღი.“  
შენ — დროებით!  
მე — სამუდამოდ...

ეს ორი სხვადასხვა სიზმარია,  
მაგრამ ორივე ნაღვლიანი დასასრულით...

ეჰ, ბრაზილიავ, ნეტავ შენი დარდები მომცა და  
მოკვეთილი კიდურების ტკივილისგან დამასვენა.

ყველანი მაგრად მოგვატყუეს  
სიცრუის ფინტით,  
და ბრმად შობილი ლეკვებივით მიგვატოვეს  
გზაზე, რომელიც არსაით მიდის.  
შენმა ცრემლებმა მეორე ამაზონი ააზვირთეს,  
ჩემი კი ჩაშრა —  
თვალეები რომ ამოვიმშრალო,  
თავსაფრის ბოლოსაც ვერ დავასველებ.

ქრისტე გაკრული მზის დისკოზე  
შენთვის ლოცულობს —  
მოვლენ ბიჭები, ვინც ამ სიზმარს დაგავინყებენ  
და სიხარულის ფეიერვერკს გაშლიან ცაში.

ეჰ, ბრაზილიავ, ნეტავ შენი ნაღველი მომცა!..

ილია

ვისაც ციხისთავივით  
საკეტური ებარა,  
მორჩა, ისიც წავიდა,  
მინას ამოეფარა.

მორჩა, ჯავრი მზაკვრული  
არ უშვებდა, ეხარა.  
დიდი დარდის ბელტები  
გულზე გადაეყარა.

მოლოდინმა — ვინ მოდის?  
მომხარა და დამლია.  
თვალს რომ მიწვავს, მაშულის  
მგრძნობიარე კვამლია.

\*\*\*  
ვემშვიდობები ბავშვობის სიზმრებს.  
ვზივარ და წვიმის მონოლოგს ვისმენ.  
გასაგებია, რას ვეტყვი მე მას,  
რას მიპასუხებს, ნეტავი, ის მე.

ცხადში თუ სიზმრად გეძახი, მოგდევ,  
სულს მაშინდელი წვიმა ასველებს,  
როგორც ჩამდგარი ქარიშხლის პორტრეტს  
შემომხედე და გზა გააგრძელე.

სად არიან ის მამლები,  
ცეცხლის ალივით ღობეებზე შეფრენილები,  
ამ ჯამათს რომ ალვიებდნენ?

ყელში აპეურნაჭერილი,  
ის ხარ-კამეჩი სადღა-მეთქი,  
მუდამ ცრემლი რომ უციაგებდათ  
მოსიყვარული, კეთილ თვალებში?..

გატყდა ტარი და ხის სატერფული,  
ის გუთანიც ჟანგმა შეჭამა,  
ნახნავების გვირისტი  
ველს რომ ქარგავდა.

უნდა როგორმე გავიხსენო, საით გაფრინდა  
იმ ზარების ხმა და ვედრება,  
შინმოუსვლელთა დედების ოხვრა —  
სად ჩაიხოცნენ სამსხვერპლოსკენ მოწყვეტილი  
ქორ-არწივები?

განა არ ვიცი, მათი სული რომ  
ახლა უფალის საბუდრიდან მერყურჩულება,  
ხოლო სხეული,  
მინადქცეული,  
ამოსასვლელად აქეზებს თავთავს...

ჭანგა ბალახის სიჯიუტით რომ მოცოცავენ,  
შინაურ თუ გარეულ მტაცებლებს,  
აი, რა უნდათ გადამაინყონ,  
აი, რას მართმევენ, მომდევენ და მემუქრებიან,  
დღითა და ღამით.

აი, რა მძიმე არჩევანის წინაშე დგახარ,  
წინ თუ უკან,  
მარჯვნივ თუ მარცხნივ,  
საითკენ ნახვალ,  
რომელი გზა მოგეხვევა მუხლზე გველივით...

მე ვარ ყვავი,  
გაზაფხულის ხელისგულიდან  
ვაზის ცრემლები უნდა ავკენკო...

ვიდრე ხელებში ჩამიტყდება სანუთროს ჯამი,  
მითხარი მაინც —  
ვინ დაგარქვა ნეტავ სამშობლო —  
შენ ხარ ტკივილი გაუსაძლისი,  
და ამიტომაც ჩემს სიმღერებს  
სიხარული არ ანებივრებს!

\*\*\*  
თეთრი კვირტების თვალთა ფახულით  
ნავა, ჩაივლის ეს გაზაფხულიც.

სალამოები თბილი, უქარო  
და აივანზე ორი ფერია —  
სიმებდანიყვეტილ ჩანგზე უკრავენ,  
გადავინწყებულ ჰანგებს მღერიან.

ბინდში ნახირით შედის ორღობე,  
მისდევთ ნკავნკავით თეთრი ფინია.  
რქენენ, ზმუიან და ბობოქრობენ —  
მოგნატრებია ეს იდილია.

თმაში იებით უცხო ასული,  
ყაყაჩოს ტუშით თვალებს იღებავს,  
ისიც ჩაივლის, ვით გაზაფხული,  
უკან ერთხელაც არ მოიხედავს.

ვიდრე იქცევი ველის ბალახად,  
ჩახედე სარკეს —  
ეს შენ არა ხარ.

საყვავილეში ჭკნება სამყურა —  
მინდვრის ალბომი ღამემ დახურა.

აჰა, ეს გული —  
სახლი უკაცო,  
და მომლოდინე ორი ფერია,  
სიმებდანიყვეტილ ჩანგზე უკრავენ,  
გადავინწყებულ ჰანგებს მღერიან.

\*\*\*  
როგორ უნდა უჭირდეთ, რომ  
ხალხს მშვიდობას ომი ერჩივნოს —  
უცებ „სამიმ ზონად“ ქცეული,  
ჩემი გამოყრუებული სოფელი  
ომის დიდი მაღლიერია —  
სოფელში გაზი უფასოდ შემოჰყავთ...

რა ვუყოთ თუ ომის წყალობით  
სახნავ-სათესი,  
სასაფლაო,  
ტყე და ვენახი  
გადაღმა დარჩა,

მავეთუღლართმა მოსიყვარულე ცოლ-ქმარის  
სარეცელიც გაყო,  
თუ არც ცხადში და აღარც სიზმარში,  
სამშობლოს სიყვარულით აღარავის აბოდებს.  
თუ ორპირი ქარით ახეული  
ერთიანი საქართველოს რუკა  
რვანლიანი სკოლის ისტორიის კაბინეტში  
მომაკვდავი ფრინველის ფრთებივით ტოკავს...

მართლებიც არიან.  
რა საჭიროა სამშობლო,  
თუკი ამდენ უბედურებას ნაგვეკიდებს?  
რა სჯობია, როცა არაფრის პატრონი ხარ.  
არაფერი ხომ უსაზღვროა,  
იქ ყველანი დავეტევით,  
ვერაგინ ვერ შეგვედავება  
და ვერც მავთულხლართებს გაგვივლებენ...

ან თურქის ფეხის ნაბან წყალში გადაცვლილი  
მოსიყვარულე ცოლ-ქმარის ერთგულება რაღა  
ბედენაა...

ხალხი ომის მაღლიერია —  
უფასო გაზი,  
უფასო ჰაერი.  
უფასო სიცოცხლე.  
უფასო კუბო...  
იყავი, ვიდრე დამადლებულ ლოდს  
წვიმის წვეთივით შეაშრები...  
ოლონდ გახსოვდეს —  
კუჭგამძღარო არაფრის პატრონო,  
შენი სახელიც არაფერია!

**ფერეიდანი**

*„ღმერთს ებარებოდე!“ — ასე გამომეთხოვა  
ერთხელ ფერეიდნელი სტუმარი.*

პირისხილიანო ირანის ლომო,  
წარსულში, დღესაც  
ჩემს ჯილაგთან ომობდი,  
ომობ.

საფლავემაც, დიდი მტაცებელის  
ჟინით, უქრობით,  
მომავლიდანაც შენ მემუქრები.

ბევრი ვიბრძოლეთ, ვჩხებთ, ვიდავეთ,  
მარბიელები ჩემს სისხლზე და ჯიშზე დაგეშე.  
ირანს გზები და ბილიკები, ფერეიდნამდე,  
ტყვეების ცრემლით შემოაკემსე.

შენს გულის შხამში შევაცურე ბევრჯერ მახვილი,  
ფიქრებში ბევრჯერ გამოგლადრე ყელი ძაღლივით.

მაგრამ დღეს, როცა უბედური ჩემი სამშობლო  
ლამის შარავის კახად აქციონ,  
არ შემიძლია შენს ნამოქმედარს  
მართალი სიტყვაც არ შევანო.

ნამცეცა წვეთში ვიცი ვრცელი ზღვა ირეკლება —  
როცა აშმორდა, გადაიქცა წუმპედ სილაღე,  
კამკამა წვეთი (უნებლიედ) ჩემი ქვეყნისა  
ფერეიდანი თემოგვინახე.

ფერეიდანი, ფერეიდანი,  
ჩემი წარსულის ცხადი სიზმარი —

ჩვენ მხოლოდ ასე უნდა გველოცა.  
ერთმანეთს მხოლოდ ასე ვშველოდით.  
ასე ფიქრობდნენ საქართველოზე,  
ასე უყვარდათ საქართველოში...

\*\*\*  
ირგვლივ მამაოებია,  
მწუხრის საგალობელს ვისმენ:  
— მოხველ ამაოებიდან,  
მიხვალ ამაოებისკენ.

ბოლავს ბუხარი და ბურღავს  
ჯანლებს აფუებულს ცამდე.  
ვისაც აღარავინ უყვარს,  
აბა, როგორ უნდა მწამდეს?

რატომ დაემგვანე ოჩანს,  
წყალი გიხვრეპია ბადით.  
ხედავ, სულ ეს იყო, მორჩა,  
გული მოიხე, ნადი!..

ზამთრის სალამოებია,  
ვილაც ჩამჩინებს ისევ:  
— მოხველ ამაოებიდან,  
მიხვალ ამაოებისკენ.

\*\*\*  
ისევ მოვიდა მარტი  
ლურჯი იების ბარდნით.

ისევ, ისევ და ისევ  
გუგულის „გუ-გუს“ ვისმენ.

თოთო ალუბლის ტოტი  
კვირტის საკინძეს იხსნის.  
ტბაზე დაიწყებს ტორტმანს  
თეთრი, ქათქათა ნისლი.

მორჩა, რაც იყო, იყო,  
გასახსენებლად არ ღირს.  
ჩატყდა ღამაში წლების  
ცისარტყელების თალი.

მაინც ხალისი ჩიტებს  
გამოერიათ ხმაში.  
ყურმიგდებული ვისმენ  
ტიტინს უცოდველ ბავშვის.

ლურჯი იების ბარდნით  
ისევ მოვიდა მარტი.

\*\*\*  
სიმი გამწყდარია,  
დროშა დახრილია,  
ძლივას ჩაეძინა,  
ისე დაღლილია.

სახემორღვეული,  
ბლუ და ვერაგები,  
ბანგით აბრუებენ  
ყალბი ბელადები.

უნდათ საბოლოო  
სიტყვა დაიბაროს,  
მგონი ენატრებათ  
ძილში გაიპაროს.

ყველამ თავის ჟინი  
შენით აბალახა,  
როგორ შეგიყვაროთ,  
ის რომ აღარა ხარ.

მაინც გადარჩები —  
შენი ზურგქარია,  
ვიდრე შენი მაჯა  
უფალს უკავია.



მოღრუბლული ამინდი იყო, მაგრამ თბილოდა. სახლში ვიყავი, ჩემს ოთახში ვიჯექი კომპიუტერთან და მოთხრობას ვწერდი. მსუბუქი ნაკაპებით დავარბინებდი თითებს ადრე თეთრ, ახლა კი ჭუჭყისგან ჩანაცრისფერებულ პლასტმასის ღილაკებზე და ცისფერი ეკრანის შუაგულში ჩასმულ, Word-ის ვირტუალურ ქათქათა ფურცელზე მიწიდან ამოსული ჭიანჭველებით ჩნდებოდა, იზრდებოდა, ხაზებდა ინელგობდა და მატარებლის ვაგონებით მისდევდა ერთმანეთს წვრილი, შავი ასოები.

უბერებულ, კლასიკურ skin-ში გახსნილ Winamp-ში სამი სიმღერა დადიოდა ხმადაბალ წრეზე: Gotye - Somebody That I Used To Know (feat. Kimbra), Flight Facilities - Crave You feat. Giselle და Johnny Cash - Ain't No Grave.

წერის დროს მუსიკის მოსმენა ამ ბოლო დროს დავამულამე. დავამულამე რა, გარემომ, კლიმატმა მაიძულა, როგორც კოსმოსიდან ჩამოცვნილი და წყალში ჩავარდნილი მეტეორებიდან შობილი და მიწაზე თევზად ამოვარდნილი სიცოცხლე გახდა იძულებული, კიდურები გაედგა, როგორც ციმბირის ყინულოვან ჩათეორებულ ტყეებში მოხვედრილი ვეფხვი — თბილი ბენვით შემოსილიყო, როგორც მგელი — ყნოსვა გაეუფმოხებინა, აქლემი — კუბში შეენახა ცხიმი.

მეც ასევე გადასარჩენად, საარსებოდ ევოლუცია განვიცადე და ისეთ არსებად ვადაპტირდი, რომელსაც წერა მუსიკის ფონზე შეუძლია. აბა, სხვანაირად როგორ უნდა დარჩე შენს თავთან მარტო ისეთ სახლში, სადაც არასოდეს იკეტება კარი და პირთამდე გამოტენილი მაცივარი პეპლის ეფექტით ცხოვრობს — ერთი დღე. სადაც სამსახურიდან დაბრუნებულს აუცილებლად დაგხვდება მინიმუმ რამდენიმე შენი ძმაცაი ან ნათესავი, ვილაც უცხო ტიპებთან ერთად რომ მიმხდარან სამზარეულოში მაგიდასთან და გემრიელად შექცევიან საჭმელს.

ერთხელ, მახსოვს, მოვედი და ერთმა ევეთმა უცხო ტიპმა ჩემს ცხვირში ჩემი მაცივარი გამოაღო, თეთრ ღრმა ჯამში ლამაზად ჩაწყობილ, ჩაცვივულ კიტრებს შეავლო თვალი, ყველაზე დიდი ამოირჩია, ხელი დაავლო, ღინიერად გადაკბიჩა შუანელში, გალეჭა, ნახევარი სახით დაიჭყანა, ამრეზით დახედა მუჭაში მოქცეულ ღია მწვანე, გამჭვირვალეთესლებიან ნატებს, აუ, რა ბანდი კიტრიაო, თქვა და ჭამით დაუბრუნდა თავის ადგილს მაგიდასთან.

— წესიერს ვერ იყიდიან ეს მათხოვრები?! — დავასრულე გონებაში სტუმრის წინადადება და გვერდით ოთახში გავედი, რომელშიც აგერ უკვე მერვე წელია, გრაფიკის უმკაცრესი დაცვით, ჩემი ძმა მისჯდომია კომპიუტერს და მაუსის მარცხენა ღილაკზე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის სწრაფი, მონოტონური, ავადმყოფურად დაუდალავი მოძრაობით სამოცდამეთოთმეტეათას-ცხრასორმოდამეცხრამეტედ ხურავს დიაბლოს!

სადღაც ღამის პირველ საათზე შესულს, დიდი შანსია, შენს გემრიელ, საყვარელ ღია მწვანე პუფში (ტელევიზორთან კუთხეში, კედელთან რომ დევს) დაგხვდეს თავზე კაპიუშონნამოფარებული შენი ბავშვობის ძმაცაი, უკვე გაჭაღარავებული ჭია, ყველაზე სენტიმენტალური და დამრეხისული ოქროსუნელი. საყვარელი ფილმი — „ვანილის ცა!“, საყვარელი კადრი ფილმიდან — „ერთხელ ამერიკაში“ — ნუდღსი ციხიდან რომ გამოდის, მაქსს ბარში რომ მიჰყავს ბიჭებთან და მერე იქ „დებორა რო შემოდის!“ საყვარელი ლექსი — „შენ ჯვარი იწერდი იმ ღამეს მერი!“ საყვარელი საფეხბურთო გუნდი — იუვენტუსი. საქმიანობა — პოკერის და ტოტალიზატორის თამაში და ამაში უზნის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა — ბექუსი! გიუმი! ლამიკო! გიუნა!

პუფში ჩაძირულ ჭიას მუხლებზე შენი ნოუთუქი უდევს, გაბრწყინებული სახით ეჩათავება X-Factor-ში ახლად გამოჩენილ, უცნაურ, სენტიმენტალურსახიან გოგოს და თან მალი-მალ ამონებებს ტოტალიზატორში დადებულ „ცოცხალს“ შედეგებს, ანუ ბილეთს, რომელიც, აუცილებლად ერთი გუნდი უმტყუნებს, რომ არ დაალაგა და ჭიამ, ასევე წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული, რიტუალის უმკაცრესი დაცვით, მეორე დღეს, სათუთად გაეცევილი და საგულდაგულად გადა-

ნახული ეს ბილეთი ბიჭებს გვანახოს, ხელუკლავ დაკრას მსუბუქად თითები ფურცელს, გაოცებული, გადიდებული თვლებით მოგვაცქერდეს და გვითხრას: — აზრზე ხარ, ტო! მარტო ამან გამიხსა! ან, ბოლო-ბოლო, როგორც იქნა მართოდ დარჩენილს, ან, როგორც იქნა ჩაძინებულს, დილის ორი საათიდან ექვსის ნახევრამდე, ნებისმიერ წამს, შეიძლება აგინკრიალდეს მობილური, შენ კი დახედვაც არ გჭირდება, ძილის ტკბილი ბურანიდან სანახევროდ გამომძვარლმაც წინასწარ იცი, ვინც იქნება, ამიტომ შევიძლია ეგრევე, ეკრანზე დაუხედავად დაანვე მწვანეყურმილიან ღილაკს და პირდაპირ უპასუხო გიჟ ხოსებს:

— ჰოოო, ძმაო? და ისიც, ჭიას ბილეთის არ იყოს, არ დაგაღლაღებებს და ეგრევე ბრძნულ კითხვას დაგისვამს:

— რას შევები, ძმაო? და იცი, უნდა ადგე, ეზოში ჩახვიდე, ჯაჭვით გადაარაზული ჭიშკარი გააღო, შემოუშვა; უხმაუროდ, მეზობლების გაუღვიძლებლად გააჩხრიალო ჟანგიანი თვლები



# ლადო კლასონია მინიალიზმის კიეზაში

ბოქლომში, ტკაპუნით ჩაკეტო, კიბეზე ახვიდე, ლოგინში ჩანვე და შეეცადო, დაიძინო, იმიტომ, რომ ხოსე აუცილებლად ჩართავს კომპიუტერს, შევა ადჯარა-ბეტ-ზე, ან სხვა ტოტალიზატორის საიტზე, ფსონების ცხრილს ამოატივიტივებს ეკრანზე, წინ გადაიხრება და ხუთი ან ექვსი საათის განმავლობაში, მდუმარედ, მაუსის კურსორის გაუნძრევლად, ჩაატყრდება ცხრილს და შენ, ძილისკენ მიმავალს, ის სულ ასეთად გამახსოვრდება: ბნელი ოთახის სიღრმეში, ეკრანის თეთრი შუქის მქრქალ ოთხკუთხედში მიცვალებულის სურათივით ჩასმული ფერმკრთალი, გამზდარი სახე, მოხრილი, გალეული მხრები, სქელი ვენებით დათოკილი კისერი და დიდი, გიჟური თვალები. მერე რაც ხდება, იმას ვეღარ ხედავ, მაგ დროს უკვე გძინავს (თანაც ყოველთვის). ხოსე, როგორც იქნა, მიიღებს გადაწყვეტილებას, ადგება, სახლიდან გავა, ბილეთს დაწერს და აუცილებლად წააგებს, რომ მეორე დღეს ისე ჩაჯდეს ბნელ ოთახში კომპიუტერის ეკრანის წინ და ისევ საათობით ჩაატყრდეს ფსონების უძრავ ცხრილს.

ისე, რომ დაფიქრდე, გეწყინება, როგორ სწრაფად ამოგდიან ყელში ყველაზე საყვარელი ადამიანებიც კი თუ შენ შენსას ვერ აკეთებ.

ჰოდა, ასეთ სახლში მუსიკის გარეშე წერა არ გამოგივა და არც მე გამომიღოდა, ამიტომ ვისწავლე და ერთი უცნაურობაც (ან შეიძლება, ეს საერთოდ არ არის უცნაური) დავიჭირე. მუსიკა ტექსტზე მოქმედებს — თუ სევდიანია, შენც უფრო სევდიანად გამოგდის თქმა, ან გეჩვენება მაინც, რომ უფრო სევდიანად გამოგივიდა, თუ მხიარულია — პირიქით. მაგრამ ერთი აშკარაა — მუსიკის ფონზე დანერგის სხვა გემო აქვს, როცა შენთვის კითხულობ, უმუსიკოს — სხვა. და თუ მუსიკით დაწერე, მერე კი უმუსიკოდ მოგიწია ტექსტის წაკითხვა, სულ ის მელოდია გაგახსენდება. ეგ ჯერ კიდევ ბავშვობაში შევამჩნიე — მაშინ ყაზბეგში ვიყავი და „სპარ-

ტაკს“ ვკითხულობდი. ჩემს ძმაცაცებს ორკასეტისანი შავი მაგნიტოფონი ჰქონდათ ნამოლბული, რომელიც დღე და ღამე ჩართული იყო, განსაკუთრებით კი ერთი მელოდია ტრიალებდა — Shivaree - Goodnight Moon.

ჰოდა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ რაღაც ნაირად ჩამრჩა თავში და იმის მერე, ამდენი წლის შემდეგაც, როგორც კი სადმე ყურს მოვკრავ:

There's a nail in the door  
And there's glass on the lawn  
Tacks on the floor  
And the TV is on  
And I always sleep with my guns  
When you're gone.

და ის ღამაში, ვნებანი ხმა ჩამესმება, ულტრაისფერი ნათურების, ღამის გაბრდღვიალებული ქალაქის და ცარიელი ოთახში კომოდზე შემოდგმული პატარა ტელევიზორის ნაცვლად, სულ სპარტაკის ამბები მახსენდება: ჟღალწვერა უგონობამდე უშიშარი კრიკისი, სულა, ვალერი, თრაკიელები, ქვიშიანი კოლიზუმი, ჯარის თვალწინ მოკლული

ეზოზე, — „ჩუმად რომ გარინდულა უკანასკნელი დარტყმის მოლოდინში და იცდის, როდის გაჭრის ჰაერს დამარცხებული და სისხლით მოთხერილ ქვიშაზე გაწოლილი, მძიმედ მსუნთქავი მონიანალმდევის სხეულზე დაშვებული ბასრი ლითონის სისინი და ამ ჩუმ მოლოდინში ყველაფერია — სიკვდილის საიდუმლოები სკენ სწრაფვა, ხარბი ინტერესი, აზარტი, ბოლო წამის განცდა და, რა თქმა უნდა, დაუცხრომელი, გაუმაძღარი წყურვილი სიცოცხლისა!“

დავასრულე, სავარძელში გადავწექი, ღრმად ამოვისუნთქე, ხელით მოვიწმინდე შუბლზე მომდგარი ოფელი და ამაყად შევათვალიერე ახალი შედეგები.

ზურგის ტკივილი ოდნავ რომ მომეშვა, ხელახლა გადავიკითხე მოთხრობა მთლიანობაში სურათის უკეთ დასანახად. მაგარი იყო, ვერც კი ვიხსენებდი, სხვაგან სად წამეკითხა ასეთი რამ.

შუშბანდში გავედი, ტელევიზორთან მიმჯდარ დედაჩემს დავეხედე და ვითომ ისე, უბრალოდ, ვუთხარი:

— ახალი რაღაც გავაკეთე და მერე, დრო რო გექნება, თუ გინდა, ნახე!

— მართლა? ახლავე! — სახე გაუბრწყინდა დედას და ფეხზე წამოდგა.

დედა ჩემი პირველი კორექტორ-რედაქტორია. რომც დაუშალო, ან თხოვო, არ წაიკითხოო, ვერ მოითმენს, ჩუმად შეიპარება, იპოვის, წაიკითხავს და რაც არ მოენონება, იმას ნითელ კითხვის ნიშნებს დაუსვამს. და ნეტავი ვინმემ იცოდეს, როგორ მეზიზღებდნენ ეს ჭადრაკის ცხენივით მხრებში მოხრილი უღმობელი შუქნიშნები, რომლებიც ყოველ ჯერზე ხელახლა და ხელახლა მახსენებენ, რომ არ ვარ თომას მანი ან მოცარტი, რომ შავი ნაწერების, „ჩერნაჰიკის“ გარეშე ვწერო და, რომ კარგ მწერლობამდე ჯერ კიდევ შორია.

— აუ, ამდენიი?! — გამოვცრი ხოლმე კბილებში ბოდვისგან, როდესაც დედა ყველანაირად შეეცდებოდა, შეარბილოს სათქმელი სიტყვებით: „სიამოვნებით ნავიკითხე! და ნეტავი ვინმემ იცოდეს, როგორ მეზიზღებდა ეს სიტყვები, ეს ხმოვანი გამაფრთხილებლები, ხელახლა და ხელახლა რომ მახსენებენ იმას, რასაც ნითელი კითხვის ნიშნები.

დედა ოთახში შევა, მე კიდევ ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული რიტუალის უმკაცრესი დაცვით, ჩამოვჯდები ტელევიზორის წინ, პულტს ხელში ავიღებ და შევეცდები, რაც შეიძლება უდარდელი სახით ვუყურო რამე გადაცემას ან ფილმს, ვითომ საერთოდ არ ვფიქრობ დედაზე, რომელიც ახლა ჩემს მოთხრობას კითხულობს. არადა, ერთი სული მაქვს, როდის გამოვა, ვაკვირებული, გაოცებული სახით შემომხედავს და ხმადაბლა გამომაცხადებს გენიოსად. ვზივარ უდარდელი გამომეტყველებით და გაფაციცებულნი ვუსმენ ყოველ ჩქამს და რაც უნდა აწიული ქონდეს ტელევიზორს ხმა, არაფერი გამოიმპარება: ღილაკზე დაჭერილი თითის წკარუნი — ალბათ, შეცდომა იპოვა ან სასენი ნიშანი შეასწორა, სკამის მსუბუქი

მოთხრობის ბოლოში ნაბოკოვის „წრესაკით“ ისევ ფესვებს დაუბრუნდი, ანუ ჩემი ქუთი, ამ უბედური ამბის მთავარ ნიშეს, ათვლის წერტილს მივავენი. ეს არის ეზო! იტალიური, კიბეებმორყეული, ფარდალადა ეზო, სადაც ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს ხედავს, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს.

ბოლო აზრები აშკარად ჯონი კემის ოდნავ ხრინიანი, ღამაში ხმის გავლენით იყო დაწერილი, მაგრამ, ეტყობა, საიდანაც Shivaree-ც შემომეპარა თავისი სპარტაკებით, ვალერიებით და კრიქსებით.

„და მაშინ ეზო კოლიზუმს ემსგავსებოდა“ — ვწერდი აღტაცებული ოქროსუბნური, მოხუცის კბილებით მორყეულ



\*\*\*

რას მიეღწევიდი ან რისთვის წერე!..  
მალონებს, რაც რო წინასწარ იცი.  
წლების (არც ისე დიდი ხნის) მერე,  
მოინატრებენ შენს ხმას და სიცილს.

მზე მოადგება სახლებს, ბანიანს,  
ნარიყალასიც იელვებს კალთა;  
ახლავე ნალვლობ, დასანანია –  
არ შეგეძლება გახელა თვალთა.

**ორად გაყოფილის ვაევა**

ღამე. ნათურას მიაწყდა იგი,  
ფარვანა რუხი, ფრთებით ჭერს კენკავს;  
შრილას, შლეგურს, ყურს ვუგდეშ შლიგინს,  
ვინც თავს მერჩია, შორსაა ჩემგან –

შავ მარმარილოს საფარქვეშ ძინავს...  
ყრუ ხმას გამოსცემს, წყვეტილს ბიაზი –  
სენაკად იქცა ბოგანოს ბინა,  
ვგავარ მოხვედრილს, ეკლესიაში.

**ოჯახური ნადიმი**

შემოსტუმრება

მე – ხუთი წლის, ჰყვოდნენ –  
ვარდნი და იანი...  
კარებს, ჩვენსას, მოადგა  
ხიტუ ჯაიანი.

უხაროდა მოლხენა  
და უხურდა სისხლი...  
ბჟიტს რად უნდა მრგებოდა –  
ბიძაჩემის ქვისლი?!

სამებლად გაშლილი,  
სუფრა იყო ძმური...  
ჭერს შეასკდა საცობი,  
კორპი, შამპანურის.

ვერაფერმა გააქროს –  
ის სალამო, ლეგა...  
მამაჩემმა მოსულის  
სადღეგრძელო სჭეკა:

იმოდნობას ვერ გასწევთ,  
ჩელოვ, ბაიანო!  
რა ხანძარი დაანთე,  
ხიტუ ჯაიანო!

გასახარელს რას გეტყვი,  
თუ იგრძენი, ნეტა –  
ხუთი წლის წინ მოგიკვდა  
ერთადერთი გეტა!

**ფოტოჟე ალგაჟილი განოვანევი**

ილიაობა საგურამოში

როგორ განქარდნენ, დრო რას არ ადნობს,  
თეთრ მკერდზე სამკაულები ებათ...  
ნაპერნკლიანი,  
წყლიანი, სათნო –  
თვალევი ეწყობთ თაფლისფერ ბლებად.

რამდენს დაესვა წერტილი ნადილს...  
სახის აღმური, ქცული ცარცად...  
არავის ახსოვს სინედლე მათი,  
ვილა მოისმენს იმ სიცილს, ტკარცალს?!

**თავს ვილუპავთ**

მერაბ ბერძენიშვილის ღია წერილი


მორიალე ყვაევის,  
ციდან ისმის ყაშყაში...  
უგნურობის, ბოროტის,  
მოვქცეულვართ ალყაში.

გვანყველინებს გაჩენას  
მტერი, უჩინმაჩინი;  
ბედია თუ ილბალი –  
მასხრად გვიგდებს, დაგვცინის;  
ამას ვერ გვიკეთებდა –  
მონღოლი, სარაცინი.

**ქმად ვიგულვე**

ლუიჯი მაგაროტოს

თვალწინ მიდგას ისედაც,  
არ მჭირდება ფოტო;  
ძმად ვიგულვე ლუიჯი,  
ჩვენი, მაგაროტო.



ემზარ კვიციანი

თვალს ვერ ვწყვეტდი იქ, რომში,  
ვარსკვლავების ცილს;  
ვენაცვლე მის პადუას  
და მის ვენეციას.

ახსოვს ჩვენი მამულის  
ძირი, გასაგისი...  
ყინულის მთას გაადნობს  
გალიმება მისი.

ნათელია მარადი,  
დავიბადეთ რადაც;  
იცის, ნამდვილ სიყვარულს  
არ გაუდის ვადა.

მზე აბრწყინებს ოქროს თასს,  
ზღვის ჩხრილებს ქვიშა...  
არარა უთესია,  
გარდა სიკეთისა.

სულ გვიტევენენ, რაღა არ  
გადაგვიტანია;  
გვერდით, ღვთივ კურთხეული,  
გვედგა იტალია.

ის ვინამოთ წარსულის,  
თავს რაც მოგვანატრებს,  
სანთელს ვუნთებთ, ვისხენებთ,  
ხატთან წმინდა პადრებს.

სუსხი, ჩრდილოეთისა,  
ვერ მოგვიტანს ზიანს;  
ეფერება ალპების  
ქარი კავკასიონს.

მონმენდილა დილის ცა,  
არ დუმს ქნარი, ლირა –  
ვაჟას თარგმნის ლუიჯი,  
ღმერთს მადლობას ვწირავ.

**უსაყვარლესი მხატვარი**

სან მარინოსთან, ჯობდა,  
იმ შუბს მე დავეფლიეთ...  
ვერარა შეედრება –  
უჩელოს შავს და წითელს.

ცხენზე გადახრილ მხედარს,  
წელში აწურულ მწვერებს,  
კვეთავს ნახტომი ირმის,  
ტყე მზერას ანაწვერებს.

ირგვლივ ყვავილთა ფშვენა,  
ბალახის სიხასხასე...  
ვეჭვობ, სხვა ხელმა შეძლოს  
მინის მოქარგვა ასე.

**ვალმონილი**

ჯემალ მიქელაძის ხსოვნას

შემატყობინეს, აღარ ხარ,  
გულის ჩამიწყდა სიმი...  
წუთუ ველარსად შეგხვდები,  
ჩემო კეთილო ჯიმი?!

მადლი, ბოლო ჟამს რომ ჰქენი,  
არ იყო კნინი, მცირე;  
„ხსოვნის გვირგვინი“ შეკარი  
და საძმო დაიტირე.

ნახავენ, როგორ ეფერე  
თითოეულ ნასულ ძმაკაცს;

უნუგეშოთა მეოხად  
დარჩები იქაც, აქაც.

უნდოა, ვის არ განურავს  
ამ წუთისოფლის ძაბრი...  
უებროს, აბრიალებულს,  
საით გაჰყევი აპრილს?

მოყვასო, ვინც რო გიყვარდა,  
ყველა სულეთში გელის...  
რა სიმღერები იცოდი,  
რა მოღერება ყელის.

გიხილე, შენი წუხილი  
შევიცან, შეგეთვისე;  
უბრალოდ გითხარ სათქმელი,  
როგორც იცხოვრე, ისე.

ახალი წლის და აღდგომის  
იყავი მომლოცავი –  
ილიას საქართველოა,  
რასაც შესწირე თავი.

**მაია ბირიშკოვას ვამხვილობაბით**

აკრული კუბოს სახურავს,  
სრიალა აბრეშუმში,  
ჭერად ექნება, ეჩვევა  
იმ სამუდამო დუმილს.

ვერავინ იტყვის, ოდესმე  
ჰყოლოდეს მომდურავი;  
ზღაპარს გავს, ყველას ასეთად  
დამამხსოვრო თავი.

იფოთლებოდა სინათლე,  
ფეხი დაუდგამს სადაც...  
თეთრი შროშნები კოცნიან,  
თვით ანგელოზის სადარს,  
არარას მქონე, დამხმარე  
იყო სხვათა და სხვათა.

სახეს ღიმილი ეფინა,  
ყოველთა დანახვაზე;  
რა სული უნდა გქონოდა,  
აპრილს ტოვებდეს ასე!..

**ქრონოსი**

გადაგორდა ზამთარი,  
განვა, დაიხროტინა...  
გაზაფხულო, მიღირდი,  
ამ სამი თვის ლოდინად.

მოხველ, ფანტავ ყვავილთა  
სურნელს, ცაში ავარდნილს...  
დიდხანს არც შენ მოგიწევს  
მინდორ-მინდორ ნავარდი.

მისრიალებს მდინარე,  
ჩვენი გადამსანსლავი,  
დათქმულია – თითო დროს  
თვე ეთმობა სამ-სამი.

ჯერ აქ ხარ, გაზაფხულო,  
მომწყდარ ზვავის ოდენა...  
გულჭრელს, ვისი სული გსურს,  
ნეტავი, მაცოდინა.



**უბაქნისის გოდება**

საგაზაფხულო წუხილიდან

არავისი ქმარი ვარ, არავისი – სიძე,  
ნანამები, ღვიძლი ძმა შავ მინაში მიწვეს...  
რა რიცხვია?! მრცხვენია, დილით რომ ვიღვიძებ.

ზურგი მენვის, რამდენი წელი უქმად დავწვი...  
არად ვიქეც, მამა ვარ – მისახედი და-ძმის,  
სანუთროო, შენც მათრევე, ჯვარზე ბევრჯერ მაცვი...  
გაქუცული, ჭაობთან, ასე ხეც დგას, ქაცვის.

დამღრალს, აღარ მეღევეა საკვნეს-საკანკალო,  
სისხლიანი, ათასჯერ, გაიღენა კალო,  
აღარც მინდა, ყოველი, წერილად ჩამოვთვალო.

ყანა ვერ დამითესავს, ქარის ვისმენ სისინს,  
თავი კაცად რომ ვიგრძნო, სუნთქვის ვიყო ღირსი,  
ერთადერთი – შვილობაც კმარა დავითისი.

**მსატვრად დაბადებული**

გოგი ჩაგელიშვილს

შენატრი და ეფერები,  
ჟამმა რაც ვერ გაქელა...  
სპერის ზღვაზე შენი რაში  
დაგელაობს, ჩაგელა!

არ მოხდება, მაღლი ფუნჯის  
ხელში რომ ჩაგელიოს...  
გიმზერ, ბოსფორს როგორ გასცდი,  
მზეს გვიხატავ — ჰელიოსს.

აღარ ყოფნის სიგრძე, განი  
სიკეთეს, შენს დათესილს...  
ხედავ რომთან შერკინებულ  
ლაშქარს, მითრიდატისი.

სიზმარეულ ხილვებს შენსას  
აფენია მარმაში...  
თითოეული კენჭი, ბურჭი –  
გააცოცხლე არმაზის.

იარები ამა ქვეყნად,  
ტკივილდაუწყურები,  
ბურუსი და სევდა დაგაქვს  
მივარდნილი ქუჩების.

დროშებს გიქნევს უთვალავი  
გემი, ლუზით დაბმული...  
გეგებება პარიზი და  
გაცილებს ისტანბული.

მკერდზე, წინაპართა სისხლის  
დაგტყობია ნაშხეფი...  
გლოცავს მცხეთა – საბრძანისი  
დიდი პიტიახშების.

**უცნაური სერობა**

წმინდა ნინოს ეკლესიასთან

ვიხილე, მდიდრულ საფლავთან იჯდა  
სინედრიონი ყვაავთა;  
ფრიად დინჯი და თავჩაქინდრული,  
მათ წინამძღოლიც ჰყავდათ.

შევატყვე, რალაც ჰქონდა სათქმელი,  
ბეჭებში გაშლილს ლაღად;  
გრძელნისკარტამ და ფიქრში წასულმა,  
ფეხებს დახედა მაღალს.

ერთხანს სიზმარში მეგონა თავი,  
თვალეები მოვისრისი;  
მეამა, ფრთები წინსაფარს, ლეგას,  
ეხამებოდა ისე.

ჭამა-სმის დარდი არ ექნებოდათ,  
იტყვიან რა სამდურავს?  
ჭირისუფლების მოტანილ ხორავს  
ინანილებენ ძმურად.

წრუნუნებს ზედაც არ უყურებენ,  
რად უნდათ მძორი ლეში;  
გეახლებიან ნამუსრევეს სუფრის,  
არიან სამოთხეში.

აიშლებიან, ბოლოს, მადრები –  
ცის მივამუროთ თაღსო;  
აქაურ მრევლის დაბადებაც და  
გარდაცვალებაც ახსოვთ.

დაიხზავლებენ, ციდან ყოველი  
უფრო გარკვევით მოჩანს;  
მარმარილოზე ჩამომსხდარს ვტოვებ  
ოც ყვავს — ჭკვიანს და ყოჩაღს.

**დაგაღვა მნადია**

უცნაური სურვილებიდან

ზღვის ფსკერზე ჩატანილმა,  
თუმც არც ისე მჩატე ვარ;  
წერნეტა ნიჟარაში  
გადავწყვიტე ჩატევა.

არ ვინაღვლებ, სამკაპა  
გამეყაროს ჭვილთები;  
წურავის ეგონება,  
ბეჭებს გაუფრთხილდები.

მონყალე, გახლართული  
თვალთუნახავ ფერებში,  
მიმორხევას ჭავლების  
დამასწავლის წერევისი –

მისი ლურჯი სამეფოს  
ვზომო სიგრძე და განი;  
ეგებ გამოიმეტოს  
ერთი ასულთავანი.

წყალში ჭყუმპალაობენ,  
დღედაღამე, თახვები;  
დაყვინთული, კაციშვილს,  
არც მე დავენახვები.

მაღე ნახავთ, რაზედაც  
სურვილი მოვამიე;  
მინაზე არ მიმართლებს,  
იქ დავტოვებ ნაშიერს.

**პვიდი მთიანი – პვიდი ღღე**

თქვით, ხომ ავიყრავდებით –  
ჩვენდა გასაკვირად,  
შვიდიდან რომ ერთი დღე  
გამოაკლდეს კვირას.

მწკრივი, მწკრივზე მიჯრილი,  
ხომ სულ აირევა;  
სურვილებად დარჩება,  
ნაირნაირებად.

როგორ გადაებმება  
განყვეტილი სიმი;  
გასრულება ვინ შეძლოს,  
რაც დავინწყეთ, იმის?

პარასკევი რომ გაქრეს  
ანდა სამშაბათი,  
რალამ უნდა შეავსოს –  
დრო, ადგილი მათი?

ეს იგივე იქნება –  
კომში იქცეს ატმად,  
თორმეტიდან ერთი თვე  
დათმოს წელიწადმა.

საწყენია თუ ცაზე  
არ გამოჩნდა მთვარე;  
სიიდან გამორჩენაც  
გახლავთ ერთობ მწარე.

სიმშვიდე რომ ვიგემოთ,  
უფლის გვეკონდეს რიდი,  
ამადაა ჩასმული,  
კვირაში, დღე შვიდი.

**პვიპუპა პვილის ნაირავ ზურგს**

სატანჯველს მოვესწარი რაოდენს,  
მაკმარონ, მეყოს თაღსი და ძაძა;  
შენ სამუდამოდ უნდა ჰყვოდე;  
გლოცავ ღვთისაგან აგებულ ტაძარს.  
ილბალი ალბათ ამას თუ ჰქვია,  
ნემსის ყუნწშიაც ვარ გამძრომელი...  
ხელთ მაქვს ბოროტის ნასროლი ტყვია,  
ხერხემალს შენსას ასცდა რომელიც.

**გაუთავიპაელი წყვიტაპა**

რა შეაჩერებს ამ ლინინ-ლინინს,  
სიზმარ-ცხადს, ერთმანეთში აზელილს,  
რომელს მიენდო, აღარც კი იცი,  
გარანდე, გიცდის – რონდო, ლაზელი...  
ვერაფერს შეცვლის დადება ფიცის,  
თავს დააბრალე, თუ ვერ გაძელი.

შესარეგია ცხელი და ცივი,  
ხმაურში ბევრი ჩახმა ქვირითად,  
რას ირჩევ – ტყვიის თუ ისრის ნივილს,  
გაბრწყინდა, ნანვიმარზე, ირიდა,  
საუკუნეთა გირილებს მწკრივი,  
სად, რას მიაღვა, ვინც იჯირითა?!

განანილდება კენტი და ლუნი,  
მისათვლელია წუთთან წამიცა...  
გაშინებს ტოკვა,  
დგანდგარი ფუძის,  
გარბის, რაზე დგას ეს დედამინა...  
ვინ აიშორა ტალახი, წუნი,  
ჭმუნავ — რომელი კალთა დამიცავს.

ამოხეხილი, გიშრება ხახა,  
მტვრიან თაროებს ლენენ ნიგნები,  
ნახირს შერთული, იხილავ, ნახავ,  
სანამ გაგყვება ჟინი მიგნების,  
დარჩენილია ორმომდე რალა,  
რა მოგცა, რასაც შენ იკიკნები?!

**რაში მქონია პაღი**

მიჩუმდა, თავსხმამ გადაიკარა,  
ღრუბლებმა, ავდრის, გადაიყარა,  
თვითონ იცოდეს მეხმა მეხობის.  
ცასა და მინას რა აქვს ტიხარად,  
რეტდამსხმელ ტრიალს სანამ ვეყოფი?!

არ-რისი მნადის ქება, ძაგება,  
წადიო, ხანი მაყრის ლაქებად,  
თავს არ ვიტყუებ და არ ვზმაურობ,  
ბარგისაც ვინყე მე ჩალაგება,  
გამზადებულმა სამოგზაუროდ.

არ დაცემია წვეთიც, იმ ცვარის,  
საით მიმინვეს გული, მიმწვარი,  
სანამ გამოძლებთ, ძვლებო, მტეხარო?  
შემსმელი აუნონელ სიმწარის,  
ვაჰთუ, უარესს გადავეყარო!..

**წელიწადად გარდასახვავი**

მზის ოქრო მადვარღვლებდა, მღვრიდა,  
მისივ ნათელით მოსირმულს, მოსილს;  
ჩემი სხეულის ოთხივე მხრიდან,  
ოთხის ვითხოვდი შემოჭრას დროსი.

ფერი ნაკლებად ეცვლება ნაძენარს,  
სურვილმა, ჩემმა დიდხანს იცადა;  
ვერა ძალამ რო ვერ შეძლოს დაძვრა,  
მინდა გადავიქეცე იმ წელიწადად.







არცთუ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ ლიტერატურულ სივრცეს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი შეემატა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განმარტებით, ცენტრის ფუნქციაა, განსაზღვროს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა ლიტერატურული თარგმანების სფეროში და ხელი შეუწყოს ქვეყანაში ქართული და უცხოური ლიტერატურის თარგმნის პროცესის განვითარებას, კულტურათმორის დიალოგის გაღრმავებას და საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცეში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენას. მიზნები მართლაც მთამბეჭდავი და ამბიციურია, ახლა მთავარია, ამ ყველაფრის რეალობაში გატარება.

ცენტრის დირექტორს, მედეა მეტრეველს ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება დაუფროვდა. მანამდე ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი გახლდათ, რომელიც ქართული ლიტერატურის უცხოურ თარგმანებზე და უცხოურის ქართულად თარგმანზე იყო ორიენტირებული. ოთხი წლის მანძილზე პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, დაწყებული ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციიდან — მთარგმნელობითი სახელოსნოებისა და ვორკშოპების ჩათვლით; მათი ორგანიზებულია ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი, რომელზეც ქართველი და უცხოელი მთარგმნელები, კრიტიკოსები, ლიტერატურული აგენტები, გამომცემლები იკრიბებიან და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. რაც მთავარია, მათი აქტიური მუშაობის შედეგია ის, რომ საქართველო 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი გახდა. ცენტრის დაარსების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ფრანკფურტის ბაზრობისთვის მზადებაა. ამ და სხვა საინტერესო თემებზე უფრო დანერგვით ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი, მედეა მეტრეველი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ირინე ჭოლოშვილი გვესაუბრნენ.



# „ მთავარი მაინც ფრანკფურტია “

— უპირველესად, კიდევ ერთხელ გავუმარტოთ მკითხველს თქვენი ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. რატომ გახდა საჭირო ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დაარსება?

**მედეა მეტრეველი:** მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალიან მწვავედ დადგა ქართული ლიტერატურის თარგმნისა და საზღვარგარეთ გამოცემის საკითხი. ერთგვარი ვაკუუმიც კი შეიქმნა — თითო-ორი წიგნი თუ ითარგმნებოდა. ვითარება 2000 წლიდან გამოცოცხლდა — ამ პერიოდში საგამომცემლო სექტორი შედარებით გაძლიერდა და გაჩნდა მოთხოვნა, ქართველი ავტორები არა მხოლოდ საქართველოში, საზღვარგარეთაც გამოცემულიყო. თუმცა არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც საკითხს კოორდინაციას გაუწევდა. საბჭოთა პერიოდში ამ მიმართულებით ძალზე ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც მოგვიანებით დაიშალა. მას შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი აქტივობა არ ყოფილა. 2010 წელს კულტურის სამინისტროში გამოცხადდა ქართული ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც სწორედ ამ თემის გააქტიურებას ისახავდა მიზნად. პროგრამა ძალზე მრავალსაზრისწამელი გახლდათ და საქართველოში მთარგმნელობით-ლიტერატურული პროცესების გამოცოცხლებაზე იყო ორიენტირებული. მთარგმნელების მოზიდვა, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების რესურსის გამოყენება, საზღვარგარეთ წიგნის ბაზრობებზე მონაწილეობა — კულტურის სამინისტროს ერთი პატარა პროგრამის ფარგლებში ამ ყველაფრის კოორდინაცია ძალიან რთული აღმოჩნდა. ამას დაემატა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი — საპატიო სტუმრის სტატუსი 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, რაც ძალზე სერიოზულ მომზადებას მოითხოვს. ამ ყველაფერმა აუცილებელი გახდა ახალი ორგანიზაციის დაარსება, რომელსაც ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი ეწოდება.

— რა არის ამ ცენტრის მთავარი ფუნქცია?

**მედეა მეტრეველი:** ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქართული ლიტერატურის თარგმნაა უცხო ენებზე და პირიქით; ვაპირებთ, ხელი შევუწყოთ გამომცემლობებს სხვადასხვა ქვეყნის წიგნის ფესტივალზე მონაწილეობაში, იქნება ეს ფრანკფურტი, ლაიფციგი, ლონდონი თუ ბოლონია, სადაც მომავალ წელს გვეგმავთ წასვლას. ცენტრის პრიორიტეტია ზოგადად ქართული საგამომცემლო სექ-

ტორის დახმარებაც, რაც ამ სეგმენტის ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ჩამოყალიბებას გულისხმობს. მათთვის სპეციალური სემინარების მოწყობაა გათვალისწინებული, რათა საერთაშორისო ბაზარზე არსებული სტანდარტები დააკმაყოფილონ.

განსაკუთრებული პრიორიტეტები გვაქვს მთარგმნელებისთვის, რაც მიზნად ახალი თაობის მაქსიმალურ მომზადებას ისახავს. ამისთვის სპეციალურ სარეზიდენტო პროგრამებს შევიმუშავებთ. არსებობს ორი ფორმატი: მოკლე და გრძელვადიანი. ორივე მათგანი საზღვარგარეთ მცხოვრებ მთარგმნელთა ხელშეწყობას ითვალისწინებს, რათა ეს ადამიანები ჩამოვიდნენ საქართველოში, მიიღონ სპეციალური დაფინანსება და ბუნებრივ ენობრივ გარემოში აღმოჩნდნენ, რაც მათ პროფესიულ უნარებს კიდევ უფრო გააღრმავებს. მათთვის, ვინც უკვე მუშაობს კონკრეტულ თარგმანზე, ეს მშვენიერი შესაძლებლობაა, პირადად გაიცნოს ავტორი და მასთან თანამშრომლობით თარგმანის ხარისხი კიდევ უფრო დახვეწოს. ზოგადად, თითოეულ უცხოელ მთარგმნელს საქართველოში უნდა ეგულბოდეს ნავსაყუდელი, სადაც ჩამოვა და თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ამ მხრივ მწერალთა სახლი იდეალური სივრცეა. პროგრამის განხორციელებას სწორედ მათთან თანამშრომლობით ვაპირებთ.

— ქართველი მთარგმნელებისთვის თუ იგვემბა მსგავსი ტიპის პროექტები, გამომდინარე იქიდან, რომ ახალი თაობის „ჩათრევა“ ამ სფეროში სერიოზული პრობლემაა? ენის მცოდნეები ამჯობინ-



Paramon  
**Washa Pschawela**  
Mäusefalle und andere Erzählungen  
Aus dem Georgischen übersetzt von Giorgi Bregadze

ებენ, სხვა, უფრო პრაგმატულ საქმეს მოჰკიდონ ხელი, სადაც ანაზღაურება გაცილებით მაღალია. პრობლემად რჩება დაბალი ჰონორარი.

**მედეა მეტრეველი:** სამუხაროდ, ეს პროფესია დაუფასებელი გახდა, არადა, შესაბამისი ანაზღაურების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია. ერი, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ენას და ლიტერატურას, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული პატარა ენები, მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ თარგმანებით გამდიდრებას. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართველ მკითხველს ჰქონდეს ხარისხიანი თარგმანის ფუფუნება, რათა საინტერესო წიგნები შუალედური ენების გარეშე იკითხოს. აქ მარტო ლიტერატურაზე არ არის ლაპარაკი, ენის გადარჩენაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუ ჩვენს ენას პატივს ვცემთ, ქართულად ყველა მეტნაკლებად ლირებულ უცხოური ტექსტი უნდა გვქონდეს. საბჭოთა პერიოდში ამის ტრადიცია იყო, თანამედროვე ლიტერატურას რაც შეეხება — მხატვრულს, არამხატვრულს, სამეცნიეროს — არსებობს ვაკუუმი, რომელიც აუცილებლად უნდა შეივსოს. სწორედ ამისთვისაა საჭირო მთარგმნელთა ახალი თაობის მომზადება. მომავალ წელს სამი საპილოტე პროგრამის ამოქმედებას ვაპირებთ — გერმანულ-ქართული, ინგლისურ-ქართული და ფრანგულ-ქართული მთარგმნელობითი ჯგუფებისთვის. ამ პროექტებს გოეთეს ინსტიტუტთან, ბრიტანეთის საბჭოსთან და ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად განვახორციელებთ. შესაბამისად, ვორკშოპების ფარგლებში იმუშავებენ ქართველი მთარგმნელები, რომელთაც 5-6 დღიან მასტერკლასებს უცხოეთიდან მონვეული და საქართველოში მოღვაწე წარმატებული მთარგმნელები ჩაუტარებენ.

— ეს დრო საკმარისია კონკრეტული შედეგის მისაღწევად?

**ირინე ჭოლოშვილი:** ისინი, ძირითადად, მზა თარგმანების დახვეწაზე მუშაობენ. ეს ცოცხალი და საინტერესო პროცესია, სადაც მონაწილეები იდეებს ცვლიან, ერთმანეთის ნამუშევარს კითხულობენ, აზრებს აჯერებენ და საუკეთესოს არჩევენ.

**მედეა მეტრეველი:** სხვათა შორის, შარშან გოეთეს ინსტიტუტში ჩატარებული ვორკშოპის ფარგლებში თამთა მელაშვილის რომანი „გათვლა“ ითარგმნა და გერმანიაში პრესტიჟული ლიტერატურული პრემიაც მიიღო.

**ირინე ჭოლოშვილი:** Jugendliteraturpreis — გერმანიის ერთადერთი ეროვნული პრემიაა საყმაწვილო ლიტერატურაში, რომელიც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გაიცემა. ტერმინი „საყმაწვილო“ ამ შემთხვევაში გულისხმობს

არა საბავშვო ლიტერატურას, არამედ 17-20 წლის ასაკისთვის განკუთვნილ საკითხავს, რომლის აღსანიშნავად გაჩნდა სპეციალური ტერმინი — Yang adult ლიტერატურა. რეალურად, თამთას რომანი გაცილებით სერიოზულია, მაგრამ რადგან 13-14 წლის გოგონებზე მოგვითხრობს, გამომცემელმა ამ ნომინაციაში წარადგინა და დიდი კონკურენციის მიუხედავად, გაიმარჯვა კიდევ.

— ცოცხალი წიგნი მწერალთა სახლმა ბრიტანულ-ქართულ მთარგმნელობით პროექტს უმასპინძლა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრია.

**ირინე ჭოლოშვილი:** ეს პროექტი ჩვენი მეორე პროექტის ერთგვარი გამოძახილია. ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორები, კრიტიკოსები, გამომცემლები და ამ სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ, უკვე ოთხი წელია, თბილისში იმართება. ორი წლის წინ მას ბრიტანული ორგანიზაციის Literature Across Frontiers დირექტორი, ალექსანდრა ბიულერი სტუმრობდა. სწორედ მაშინ გაუჩნდა იდეა, ქართველი პოეტები ინგლისურად ეთარგმნა და გამოეცა. ამ ორგანიზაციას უკვე აქვს მსგავსი პროექტების გამოცდილება და ჰყავს მთარგმნელები, რომლებიც თავადაც პოეტები არიან. სამმა მათგანმა — სტივენ უოტსმა, ადამ სმარტმა და ნია დევისმა ამ ჯერზე ქართველი ავტორების შემოქმედებაზე იმუშავეს. ითარგმნა ირაკლი ჩარკვიანის, გაგა ნახუცრიშვილის, შოთა იათაშვილის, რატი ამალაშვილის, მაია სარიშვილისა და ლელა სამნიაშვილის ლექსები, რომლებიც 2015 წელს ბრიტანეთში გამოიცემა.

**მედეა მეტრეველი:** უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანთოლოგიას — სახელწოდებით „ექვსი ქართველი პოეტი“ — Arc Publication გამოსცემს. ეს არის ძალზე ცნობილი და სოლიდური გამომცემლობა. ამავე დროს, ერთადერთი, ვინც უცხოური პოეზიის ინგლისურ თარგმანზე მუშაობს. მათ აქვთ სერიები, მაგალითად, კატალიონი პოეზია, ფინური პოეზია და ასე შემდეგ, რომლის ფარგლებშიც მკითხველს კონკრეტული ქვეყნის ექვს პოეტს აცნობენ.

— როგორ შეირჩა ქართველი ავტორები, რომლებიც ამ სერიის ქართულ ვერსიაში მოხვდნენ?

**მედეა მეტრეველი:** ეს, ზოგადად, ძალზე მტკიცეული თემაა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ცენტრი მხოლოდ მხარს უჭერს მსგავს პროექტებს. გადაწყვეტილებას — რომელი ავტორი და ნაწარმოები თარგმნოს — იღებს გამომცემელი. ლოგიკა მარტივია: მან უკეთ იცის თავისი ბაზრის მოთხოვნები და გემოვნება. გარდა ამისა, ქართული მხარე განაცხადის ავტორებს ნაწილობრივ აფინანსებს, თანხის ნაწილი მათი გადასახდელია. ამიტომ ისეთ ავტორსა და ნაწარმოებს ირჩევენ, რომელსაც გამომცემლობას წარმატებას მოუტანს — როგორც ფინანსურად, ასევე იმიჯის თვალსაზრისით. ცალკე თემაა, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს უცხოელი გამომცემლები: როგორც წესი, მიმდინარეობს კონსულტაციები ქართველ გამომცემლებთან; აკვირდებიან ლიტერატურულ პროცესს საქართველოში, რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის ღონისძიება და შორთ-ლისტებს, ბოლო 5 წლის განმავლობაში პრემიებულ ავტორებს, უცხო ენაზე თარგმნილ ტექსტებს და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ბევრი კომპონენტი მუშაობს, ჩვენ კი საბოლოო ეტაპზე — გადაწყვეტილების დასაფინანსებლად მოგვმართავენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: გამომცემელს ჰქონდა 15-კაციანი ღონისძიების, საიდანაც შეირჩა 6. პროექტის კონცეფცია „გაგარინის თაობის“ ირგვლივ შეიკრა. ეს არის ფრაზა ირაკლი ჩარკვიანის ერთი ლექსიდან, რომელსაც კონკრეტული ავტორები „მთარგმნეს“. ძალიან მიხარია, რომ გენდერული ბალანსი დაცულია და ჩამონათვალში ორი ქალბატონიც გვყავს — მაია სარიშვილი და ლელა სამნიაშვილი.

**ირინე ჭოლოშვილი:** შერჩევის პროცესში ბრიტანელი ავტორებიც მონაწილეობდნენ, რომელთაც ბნკარედული თარგმანებით იხელმძღვანელებს. ერთი მხრივ, ერთი თაობის ავტორებზე კეთდებოდა აქცენტი, მეორე მხრივ — განსხვავებულ ფორმასა და შინაარსზე, რათა ამ ექვსი პოეტის მაგალითზე მაქსიმალურად

ენცივებისა და ქართული პოეზიის მრავალ-ფეროვნება, რაც მას უდავოდ ახასიათებს. პროექტის ქართველი რედაქტორია გავა ლომიძე, რომელმაც მთელი რიგი კონსულტაციები გაუწია მთარგმნელებს და, ალბათ, ამ გამოცემისთვის პატარა წინასიტყვაობასაც დაწერს.

**— ბოლო დროს აშკარად იგრძნობა უცხოელ გამომცემელთა ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ. რამ განაპირობა ეს ფაქტი?**

**მედეა მეტრეველი:** უპირველესად, გამომცემელთა აქტიურობამ წიგნის ბაზრობებზე, რაც ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევია; თავად მწერლებმაც, იმიტომ, რომ თუ კარგი ტექსტი არ გაქვს, ვერანაირი შეფუთვა და პიარი ვერ გიშველის; არ შეიძლება, არ აღინიშნოს კულტურის სამინისტროს დიდი წვლილი, რომელიც 2010-14 წლებში ყველანაირად ედგა გვერდში ქართულ წიგნს. უპირველესად, ეს გეოგრაფიული არეალის გაფართოებაში გამოიხატა: ფრანკფურტის ბაზრობას დაემატა ლაიფციგისა და ლონდონის ბაზრობები. მათ რიცხვს მალე ბოლონაც შეემატება. ყველაზე გვაქვს საავტორო სტენდები, რაც დიდ სახსრებს უკავშირდება.

ინტერესის გაღვივება მთარგმნელობის ხელშეწყობის პროგრამამაც განაპირობა, რომელიც ოთხი წლის წინ გამოცხადდა. პირველ ჯერზე 3 განაცხადი შემოვიდა, მომდევნო წელს — 5, წელს უკვე 30-მდე განაცხადი გვქონდა. სულ 50 წიგნი დაავანდნენ და იმდენ ვიტოვებთ, სამომავლოდ ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. და ყველაზე მთავარი — 2018 წელს ჩვენ ვხდებით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა, რამაც ჩვენს მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა.

**— ყურადღება მხოლოდ თანამედროვე ავტორების მიმართ შეიმჩნევა თუ ზოგადად ქართული მწერლობითაც ინტერესდებიან?**

**ირინე ჭოლოშვილი:** დღესდღეობით ეს მსოფლიო ტენდენციაა — წიგნის ბაზრას თანამედროვე ავტორი წარმართავს. ჟანრებს რაც შეეხება, ყველაზე მოთხოვნიდი რომანია, შემდეგ — ნოველა და მოთხრობა. ამიტომ პოეტები ხშირად გვსაყვედურობენ, რომ პოეზია ნაკლებად ითარგმნება. რაც შეეხება თანამედროვე ავტორებით დაინტერესებას, ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ XXI საუკუნის გამომცემლები მარტო წიგნის ბეჭდვით არ შემოიფარგლებიან. უნდათ, ავტორი მათ ქვეყანაში ჩაივადოს, მკითხველს შეხვდეს, პრეზენტაცია მოაწყოს. უშუალო კონტაქტი მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. საოცრად უყვართ კითხვის საღამოები, რაც ჩვენთან მაინცდამაინც პოპულარული არ არის. ერთი შეხედვით, დიდი უსამართლობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას ცოცხალი მწერალი უნდა.

**მედეა მეტრეველი:** თუმცა არსებობს გამომცემლობები, რომლებიც მარტო კლასიკის სერიებზეა ორიენტირებული. ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და წელს უკვე არაერთი ასეთი გამომცემა გვაქვს. მათ შორის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებები.

**— ეკატერინე გაბაშვილი რატომ დაინტერესდნენ?**

**ირინე ჭოლოშვილი:** გერმანიაში გამო-

დის ქართველ მწერალ ქალთა ანთოლოგია. ეს არის ქრესტომათიული გამოცემა, რომლის კონცეფცია ქართველი ქალის აქტიურ პოზიციას ეფუძნება და მიზნად ისახავს, დაანახოს ევროპულ მკითხველს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველი ქალი თავს მოვალედ მიიჩნევდა, თავისი აზრი წერილობით დაეფიქსირებინა, როგორც მხატვრულად, ისე — სხვა ფორმით.

**— ვის ეკუთვნის ეს იდეა?**

**ირინე ჭოლოშვილი:** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ შტეფი ხოტივარი-იუნგერს. ის ქართველოლოგია და მუშაობს ერთ-ერთ გამომცემლობასთან, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზეა ორიენტირებული. ეს იქნება ქართველ მწერალ ქალთა 10-საუკუნოვანი მოღვაწეობის რეტროსპექტივა და მოიცავს პერიოდს XI-დან XXI საუკუნის ჩათვლით.

**— ისევ ფრანკფურტის თემას დავუ-**



**ბრუნდეთ. თუ იყო რაიმე სახის მოთხოვნა ან რეკომენდაცია, რა ტიპის წიგნებს ან ავტორებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თუ არის გათვალისწინებული კლასიკოსების თარგმნა?**

**ირინე ჭოლოშვილი:** კონკრეტული მოთხოვნები არ ყოფილა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოვაჩინოთ ქართული მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა.

**მედეა მეტრეველი:** თუმცა ერთ-ერთი სერიოზული რეკომენდაცია რაც შეიძლება მეტი თანამედროვე ავტორის თარგმნას უკავშირდება და რატომ: ჩვენ იქ ქართველი მწერლების დიდი დელეგაცია უნდა ჩაიყვანოთ, რომლებიც მკითხველს შეხვდებიან და საკუთარი ტექსტების შესახებ მოუყვებიან. ფრანკფურტის ბაზრობა ხომ თანამედროვე წიგნის ბაზრობაა და თანამედროვე პროცესებს ასახავს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, უბრალოდ, სასურველია, რადგან ასეთი შესაძლებლობა გვეძლევა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საპატიო სტუმრის სტატუსი და ახალთან ერთად ძველი ტექსტებიც წარმოვადგინოთ. თუმცა ეს, ალბათ, ადვილი არ იქნება — უცხოელი გამომცემლობის დაინტერესება კლასიკოსი ავტორებით ცოტა რთული მეჩვენება.**

**მედეა მეტრეველი:** უცხოელი გამომცემლობები ასე ადვილად არ მოკიდებენ ხელს ქართული კლასიკის გამოცემას. რაღაც კოლექცია უკვე რომ იყოს ნათარგმნი, მეტი შანსი გვექნებოდა. ამ ეტაპზე დაწყება ცოტა რთულია. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენს მიერ გამოცემული ტექსტები სათვალავში არ შედის — წიგნი უცხოეთში უნდა იყოს თარგმნილი და იქაური გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი. დღესდღეობით 50-მდე წიგნია გამოცემული, წინ კიდევ ოთხი წელი გვა-

ყებულება და ამაზე ცენტრში შემოსული განაცხადებიც მეტყველებს. განსაკუთრებულ აქტიურობას ბოლო ორ წელიწადში ველოთ. შესაძლოა, ამ პერიოდისთვის იმდენი განაცხადი შემოვიდეს, მთარგმნელები არ გვეყოს. როგორც ერთ-ერთი ცნობილი გერმანული გამომცემლობის დირექტორმა მიოხრა, 2017-2018 წლებში, როდესაც ჩვენი სტუმრობის დრო მოახლოვდება, საინტერესო ქართული ტექსტების თარგმნას და გამოცემას გვემავს, მანამდე კი ამ ბაზრის კვლევას და ავტორების შერჩევას აპირებს. სავარაუდოდ, ასეთივე განწყობაა დანარჩენ გამომცემლებშიც. გერმანული გამომცემლობებისთვის, რომლებიც აქტიურად ემზადებიან ფრანკფურტის ბაზრობისთვის, პრესტიჟის საკითხია, სტუმარი ქვეყნის ერთი წიგნი მაინც შექონდეთ თარგმნილი. ამ ქვეყანაში 10 ათასზე მეტი გამომცემლობაა. აქედან სულ ცოტა, 300-მა თითო წიგნი რომ თარგმნოს, შედეგი მიღწეულია.


**ირინე ჭოლოშვილი:** თუმცა ყოფილა სტუმარი ქვეყნები, რომელთაც 100-ნათარგმნი წიგნი შექონდათ წარმოდგენილი, მაგალითად, ფინეთი. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც ქართველმა ჟურნალისტებმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტს, იურგენ ბოსს ანალოგიური შეკითხვა დაუსვეს, მან უპასუხა, რომ მთავარი არაა რაოდენობა, არამედ ხარისხი. რაოდენობას არავინ გამოეკიდება, თუმცა ბევრი თარგმნილი წიგნი, რასაკვირველია, შთამბეჭდავია.

**მედეა მეტრეველი:** მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ერთადერთ რისკ-ფაქტორად მიმაჩნია ის, რომ ქართველი გამომცემლობები რაც შეიძლება კარგად იყვნენ მომზადებულნი, რადგან როგორც არ უნდა დაუდგეს გვერდში კულტურის სამინისტრო, როგორი კარგი წიგნიც უნდა დაწეროს ავტორმა, თუ გამომცემელი ვერ შეძლებს თავისი ავტორის სათანადოდ შეფუთვას და გაყიდვას, ეს ჯაჭვი არ შეიკვრება. ამაში მათ ჩვენს მიერ ორგანიზებული პროფესიული სემინარები დაეხმარება, რომლებიც განსაკუთრებით წაადგება პატარა გამომცემლობებს.

წლებიანდელი ბაზრობების ციკლს ფრანკფურტით ვამთავრებთ, მომავალ წელს კი 4 წიგნის ფესტივალი გველოდება, მათ შორის ბოლონის საბავშვო წიგნის ბაზრობა, რომელზე გასვლა ფრანკფურტის ბაზრობის ორგანიზატორთა რეკომენდაციას.

**ირინე ჭოლოშვილი:** სხვათა შორის, ბოლონიაში რამდენიმე წელია, წარმატებით ჩადიან ცალკეული ქართული გამომცემლობები და საავტორო უფლებებსაც ყიდნიან. ზოგადად, საბავშვო ლიტერატურა ყველაზე კომერციულია და მომგებიანია. ქართველებიც მშვენივრად ართმევენ თავს ამ გამოწვევას.

**მედეა მეტრეველი:** მთავარი მაინც ფრანკფურტია, რადგან ეს მსოფლიოში უმსხვილესი ბაზრობაა. ყოველწლიურად 2 მილიონი ბიზნეს-ვიზიტორი სტუმრობს და 10 ათასამდე აკრედიტებული ჟურნალისტი აშუქებს სტუმარი ქვეყნის პრეზენტაციას. აი, ამ დონის ღონისძიება გველოდება 2018 წელს, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.



რამდენ უცნაურად, ღიმილის-მომგვრელადაც უნდა გამოიყურებოდეს, ეს ერთი ხანია, ასეთი მოლოდინი დამდევს: „ლიტერატურული გაზეთის“ ყოველი ახალი ნომრის ხელში აღებისას, ასე მგონია, სადაც მე-10-მე-14 გვერდებზე ნაწილობრივ თამარ ჟურულის დიალოგს როსტომ ჩხეიძესთან. საუბრის თემა ერთობ კონკრეტული, შემოფარგლული იქნება: მწერლის მუშაობის წესი, მისი ლაბორატორია.

ამ ბოლო წლებში ორი ქართველი მწერლის — როსტომ ჩხეიძისა და გიო ახვლედიანის (აკა მორჩილაძის) შემოქმედებითი პროცესი ძლიერ ინტერესს აღმიძრავს: როგორ მუშაობენ, დღე-ღამეში რამდენი საათი უსხედან მაგიდას. შესაძლოა, იმდენად ნაფიქრის, ნარმოსახვაში უკვე არსებული ნაწარმოების ქაღალდზე გადატანის პროცესი არ იყოს ისე მნიშვნელოვანი, როგორც ქაღალდზე გადასატანის მოფიქრება-შეთხზვისა. ეს ინტერესი ამ ავტორთა ქართული მწერლობისათვის უჩვეულო ხელხვედრებით გახლავთ განპირობებული.

გიო ახვლედიანმა ყველაფერზე უარი თქვა, მხოლოდ მწერლის ცხოვრებით ცხოვრობს, უცხოეთში გადაბარგდა, რომ თბილისურ ყოველდღიურობას განერიდოსო. როსტომ ჩხეიძესთან კი საქმე სულ სხვაგვარადაა — ორკვირულ ჟურნალს რედაქტორობს, ყოველდღე რედაქციაშია, მისი „ჩვენი მწერლობა“ ყოველ მეორე პარასკევს კეთილ მეკვლესავით შემოგვიღებს კარს, და ეს კეთილი მეკვლე, თითქმის ორ დღეს ისე გვართმევს, უხერხულობასაც არ გრძნობს. რედაქტორი ახალ სპექტაკლს იშვიათად გამოტოვებს, ამერ-იმერის თეატრებშიც დადის, რომ წლის საუკეთესო რეჟისორი, მსახიობი, თუ სცენოგრაფი გამოავლინოს. იუბილეებზეც ვხედავ. ყველაფერ ამას ერთი კაცის არჩივი გარჯა უთუოდ სჭირდება.

ამოდენა, უთუოდ ინტერესის აღმძვრელი წიგნები? ესენი როდისღა იწერება?

კიდევ ერთი გარემოება: თუ გიო ახვლედიანი მაგიდას მიუჯდება და თავადაა მდგომარეობის ბატონ-პატრონი, თავად თხზავს ახალ რეალობას, როსტომ ჩხეიძე არა მხოლოდ ბელეტრისტი, მკვლევარიც გახლავთ. ვიდრე მაგიდას მიუჯდებოდეს, გამოწვლილვით უნდა შეისწავლოს ალექსანდრე ბატონიშვილისა თუ გალაკტიონის, ვახტანგ ჭელიძისა თუ რევაზ გაბაშვილის (ესე იგი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორია, იდეოლოგია, ყოველდღიურობა — შეცდომები, გამარჯვებები), პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე ორბელიანის, სხვათა და სხვათა ცხოვრების ლამის ყოველი დღე; წერად კი ამის მერე უნდა დაჯდეს (სათქმელად ერთობ იოლია: შეისწავლო პავლე ინგოროყვას, გალაკტიონის ცხოვრების ყოველდღიურობა).

ამიტომ არის ინტერესის აღმძვრელი როსტომ ჩხეიძის შემოქმედებითი ცხოვრების წესი. ცხადია, ინტერესს წარმოშობენ ის პიროვნებები, შემოქმედნი, რომლებზეც წერს — სრულიად სხვადასხვა ეპოქაში საქართველოში განვითარებული მოვლენები და ამ ფონზე ადამიანთა ბედი, ღირსეული (ზოგჯერ უღირსიც!) შვილები ამ ქვეყნისა, ვისთვისაც სამშობლოს ბედი თუ უბედობა გამხდარა უმთავრესი საზრუნავი, მაგრამ იქნებ შეცნობის მეტ ნადილს აღძრავდეს ის, თუ როგორია მასალების მიგნების, შესწავლის და კლასიფიკაციის სისტემა, როგორ წერს, რა ინტენსივობით.

კითხულობ მის წიგნს ალექსანდრე ბატონიშვილზე და ხედავ, რომ ავტორს ხელისგულზე უდევს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის პირველი ათწლეულების რუსეთ-საქართველო-ირანის ურთიერთობა. გამოხდება ხანი და გამოდის „ვიტა სიზმარი ღამისა“ და ნაწარმოების ავტორი გარწმუნებს, რომ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ექსპერიმენტული ლიდერთა თავგანწირული ბრძოლა საქართველოსათვის მეორე ხელისგულზე უდევს. მერე გამოდის ერთობ სქელტანიანი წიგნები გალაკტიონზე, ვახტანგ ჭელიძეზე...

ამ კაცს მრავალი ხელისგული აქვს და მათზე ბევრი რამ ეტევა.


არც ის არის მეორეხარისხოვანი საკითხი, რეასგვერდინა წიგნი როგორ ინ-

ერება სამ თვეში. მწერალს შემოქმედებითი შრომის თავისი, განსაკუთრებული რეჟიმი აქვს. ვგონებ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მწერალთა უმეტესობისათვის რეასგვერდინა წიგნის ჩაკითხვა-ჩასწორებისათვის სამი თვე, იქნებ, არც იყოს საკმარისი. აქედან გამომდინარე, ასე მგონია, რომ შემოქმედებითი შრომის განსაკუთრებულ ფენომენთან გვაქვს საქმე. როგორია ეს ფენომენი, როგორ წარმოაჩენს მას მწერალი? აი, ამას ვგულისხმობდი, როცა ჟურნალისა და როსტომის დიალოგს ვსურვილობდი.

შესაძლოა, როსტომ ჩხეიძის შემოქმედებითი მუშაობის სტილის ერთი, იქნებ, არცთუ ძლიერ მნიშვნელოვანი, მაგრამ აუცილებელი პირობა, აქვე გავთქვა: ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი რომანის „ყამი დუმისისა და ყამი უბნობისა“-ს წარდგინებისას, როსტომმა ჩემივე ჩანაწერების — „სახეები და სიტუაციები“-ს თაობაზე ჩამოაგდო სიტყვა. მაშინ მის მიერ ნათქვამი ერთი ფრაზა ამ მწერლის შრომის სტილზე მიმანიშნებს. „საგა ვახტანგურის“ კითხვისას, იმ დღეს ნათქვამი გაზაფხულზე მდინარის ზედაპირზე შემორჩენილი ჯერაც გაუმდინარი ყინულის პანა კუნძივი და მიდგა თვალწინ და ახლაც ყურში ჩამესმის: „ძალიან დიდი მნიშ-

**გურამ ბათიაშვილი**

**„საგა ვახტანგურის“ თაობაზე**



ვნელობა აქვს, ყოველდღიურად ჩავინეროთ ის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, უნდა ჩავინეროთ ყველაფერი, ისიც კი, რაც უბრალოდ, უმნიშვნელოდ გვეჩვენება, რადგან შესაძლოა, ერთ დღეს ეს უბრალო და უმნიშვნელო, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.“ ამ მიმართებით მას ძალიან დიდი გამოცდილება დაუტოვებს მამამ — გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, დრამატურგმა, საზოგადო მოღვაწემ ოთარ ჩხეიძემ და მისი თაობის ქართველმა მწერლებმა. ოთარ ჩხეიძის „დროადრო“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობასა და თეატრში მიმდინარე მოვლენებს შეულამაზებლად წარმოაჩენს. ეს არის მისი თვალით დანახული რეალობა. როსტომ ჩხეიძისათვის ეს შესანიშნავი წყაროა, მაგრამ...

ყველაფერი ჩავინერეთ, აღვწუსებთ, ეს

ძალიან კარგია, თუმცა ამოდენა ტილოებისათვის, რასაკვირველია, სრულიად არ კმარა. ამას გარდა, როსტომ ჩხეიძეს რა უნდა ჩაენერა ალექსანდრე ორბელიანზე, პავლე ინგოროყვასა და, თუ გნებავთ, გალაკტიონზე?!

„საგა ვახტანგურში“ გახლავთ მოხმობილი მთელი რიგი ფაქტები, რომელთა მეოხებით ავტორი თავის დასკვნებს გვთავაზობს. უმეტეს შემთხვევაში ეს დასკვნები ერთობ მყიფეა. შესაძლოა, სხვათა წიგნებში, იმ ავტორთა ნაწერებში, რომლებიც სრულიად განსხვავებული მრწამსის, ამა თუ იმ პიროვნებებისადმი განსხვავებული — ლოიალური თუ კრიტიკული დამოკიდებულების მატარებელი გახ-



ადგილს იჭერს. „საგა ვახტანგურის“ დიდ ღირსებად მიიჩნია აი, რა: ამ ჩვენს აბურდულ, დაუნდობელ დროში, რომელშიც დიდ-პატარათაგან უმრავლესი მხოლოდ იმას ცდილობს, პიროვნებას ღირსების შარავანდედი ააცალოს, მწერალი გვაჩვენებს, რამდენი დიდებული მოღვაწე დადიოდა ამ მიწაზე, ჭეშმარიტი სულიერების რამდენი მატარებელი პიროვნება ალებდა რკინის იმ მძიმე კარს, მწერალთა შენობას გარესამყაროსაგან რომ ანცალკევებდა. „საგა ვახტანგურში“ გაეღვივებული მათი სახეები და სახელები შეგვახსენებს იმ ნათელ ხანას, როცა საბჭოურ ეპოქაშიც კი, ქართული სულიერების მატარებელი დიდებული პოეზია, პროზა კელაპტრებად ენთო. ისინი, ამ კელაპტრების ამნთებნი, ხმამაღლა არ გაჰკიოდნენ, უხმაუროდ, ნაბიჯ-ნაბიჯ იღვწოდნენ ქართული მწერლობისათვის და ქართულ კულტურას შინაარსობრივად ხდიდნენ დასავლური ცივილიზაციის ნაწილად, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი მათგან სამი საათის საფრენი მანძილით კი არ იყო დაშორებული, არამედ დიდი პოლიტიკური ფორმაციით, გადაულახავი იდეოლოგიური ბარიერით.

ვახტანგ ჭელიძე ერთი იმთაგანი გახლდათ, ვინც ამ სამყაროში — დასავლური მწერლობის, ყოფის სამყაროში ჰპოვებდა სიცოცხლის აზრს. ამას ადასტურებს ის, რასაც იგი ქმნიდა — თარგმნიდა. ამას ადასტურებს ის, როგორც იგი თარგმნიდა. როსტომ ჩხეიძე აქეთ მიანიშნებს, როცა განსაზღვრავს ვახტანგ ჭელიძის როლსა და ადგილს ქართულ კაზმულსიტყვაობაში და მას ივანე მაჩაბლის კვალდაკვალ მავალ შემოქმედად წარმოაჩენს. აქ კვალში მავალობა იმ ესთეტიკის სრულ გაზიარებად, მის სამიზნედ გახდომად უნდა აღვიქვათ, რომელსაც ივანე მაჩაბელმა დაუდო სათავე. აზრად არ მაქვს, შეეკამათო როსტომ ჩხეიძის ამ ფუნდამენტურ კლასიფიკაციას, რაც, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელობით ხელოვნებაში ივანე მაჩაბლიდან ვახტანგ ჭელიძემდე სივარდი იყო. მაგრამ, ამ მიმართებით, შექსპირის ქართულად აქლერების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება სწორედ ვახტანგ ჭელიძეს ხვდა წილად. ნამიკითხავს ახალი თაობის ბრიტანოლოგის მოსაზრება, მის მისიასა და ადგილს სხვაგვარად რომ წარმოაჩენს, მასთან კამათს არ ვაპირებ, რადგან ეს მოსაზრება ჩემთვის სურათს არ ცვლის. და არც ის მსმენია, სხვებისთვის შეეცვალოს. ამას გარდა, ყველას ისევე აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი აზრი, როგორც მე ვერ წამართმევინებ უემოთმოყვანილი მოსაზრების გამოთქმის უფლებას. მით უფრო, ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიისა და მკვლევარ როსტომ ჩხეიძეს, რომელიც კარგად გახლავთ ჩახედული ინგლისურ ლიტერატურაში.

ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, კიდევ ერთხელ ვავიმეორო: როსტომ ჩხეიძემ ზუსტად განსაზღვრა ვახტანგ ჭელიძის როლი და ადგილი ქართულ ლიტერატურულ სივრცეში და მისი მოსაზრება სარწმუნოა.

ვახტანგ ჭელიძე მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ: ცხადია, უწინარესი მისი მთარგმნელობითი შემოქმედებაა, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი, როგორც ლიტერატურული პროცესების ორგანიზატორისა, რედაქტორ-გამომცემლისა. სულაც არ ვიქნები პირველადომჩენი, თუ ქართული საზოგადოებრივი ლიტერატურული აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებ ჟურნალ „ცისკრის“ აღდგენას და ამ ჟურნალში მისი მუშაობის სტილს — იმ მისიას, რომელიც მან „ცისკარს“ დააკისრა. შესაძლოა, ასოციაციო ერთობ შორეული იყოს, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში უხდებოდათ მოქმედება, მაგრამ მაინც ბევრ რამეს ვხედავ საერთოს სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურო უწყებანსა“ და „ცისკრის“ ამოცანებს შორის. ვახტანგ ჭელიძეს სრულიად განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში იგივე ამოცანა ამოძრავებდა, რაც სოლომონ დოდაშვილს — ლიტერატურული ცხოვრების განახლება, რაც სათავეს დაუდებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განახლებას. ჯერ კიდევ შორს იყო ის დრო, როცა საზოგა-

დოვა ტელევიზიის ლამის მონად ქცეულა. პოეტის სიტყვა, მწერლის აზრი ჯერ კიდევ ერთობ ღირებულია, ხალხი უსმენს.

ახალი ჟურნალი, გაზეთი ყოველთვის როდი გახლავთ ახალი ტენდენციის დამამკვიდრებელი. მთავარია, თუ რა გეზს ირჩევს ის, საით მიჰყავს საზოგადოებრიობა. დღეს, მას შემდეგ, რაც ჟურნალ „ცისკარის“ აღდგენიდან ლამის 60 წელი გავიდა, განსაკუთრებული თვალსაჩინოებით იკვეთება ვახტანგ ქელიძის, როგორც რედაქტორის სტილი, ის, თუ რა ფუნქციას აკისრებდა იგი ჟურნალს, როგორ ცდილობდა ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების განახლებას. არა მგონია, ბევრი ოპონენტი გამოჩინდეს თუ ვიტყვი: ვახტანგ ქელიძის ამ გეზმა გაიმარჯვა. „ცისკარმა“ არა მხოლოდ ლიტერატურული პროცესი განაახლა. ვინც საქართველოში მომდევნო წლებში განვითარებულ მოვლენებს გადავლებს თვალს, ალბათ, დამერწმუნება: „ცისკარმა“ ანუ ახალმა ქართულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი აზროვნების გარდაქმნის საქმეში. ჟურნალის ამ გეზს კარგად გრძნობდნენ ლიტერატურის ჩინოვნიკები. ამიტომაც „ცისკარს“ პირველსავე ნომრიდან დაეებდა ბრძოლა, წინააღმდეგობა. როსტომ ჩხეიძემ ჩინებულად გადმოგვცა ვახტანგ ქელიძის ირგვლივ დატრიალებული ვენები, რაც მეტი თვალსაჩინოებით წარმოაჩენს რედაქტორის როლს ავტორთა შერჩევის, პრობლემებისადმი დამოკიდებულების საკითხში — სარედაქციო საქმიანობაში.

შეიძლება ითქვას: „ცისკარს“ ჰქონდა შემოქმედებითი აღმავლობის დიდი წლები, როცა იგი მწერლობის სამსახურში იდგა და არა მწერლობის ჩინოვნიკებისა და დახეთ: ეს საუკეთესო პერიოდები სწორედ ვახტანგ ქელიძესა და მის მიერ „გავარჯიშებულ“ რედაქტორებს უკავშირდება.

როსტომ ჩხეიძე ვრცლად და დამაჯერებლად წერს იმ ცხარე ვენებზე, ჟურნალის ირგვლივ რომ ტრიალებდა. ეს მაძლევს უფლებას, ერთი პარადოქსული მოსაზრება შევთავაზო მკითხველს: ჟურნალის ოპონენტი მწერლობის ჩინოვნიკებზე ისევე მონაწილეობდნენ „ცისკარის“ გეზის ჩამოყალიბებაში, როგორც ნოდარ დუმბაძე თუ ოტია პაჭკორია, ტარიელ ჭანტურია თუ ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი შატერაშვილი თუ გურამ რჩეულიშვილი. ეს მწერლობის ჩინოვნიკები — ჟურნალის ოპონენტები იმ მგლებად მესახებიან, ირმებს რომ მისდევნენ. მგლები დღემოდამ მისდევნენ ირმებს. ირმები კი გაურბიან და ამ სირბილში მუხლებს იმაგრებენ. ირმებისა და მგლების ამ რბოლით ლიტერატურის ჩინოვნიკები ჟურნალს უფრო და უფრო აძლიერებდნენ — „ცისკარის“ ირგვლივ შემოკრებილ ახალ თაობას ქართული კაზმულსიტყვაობისა კიდევ უფრო უმტკიცებდებოდა იმის მოთხოვნილება და რწმენა, უკეთ, უფრო ძალუმად ეკეთებინათ ის, რასაც აკეთებდნენ. ამ გარემოებასაც შვა ახალი ქართული პროზა.

„საგა ვახტანგური“ ერთი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილი წიგნია, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის, საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ტენდენციებს თვალსაჩინოდ წარმოაჩენს: მწერლობის მიმართება სამშობლოს ბედთან, მწერლობისა და საბჭოთა იდეოლოგიის ურთიერთმიმართება, ხელისუფლება და მწერლობა, შური, როგორც შემოქმედებითი პროცესის თანამდევნი და აქედან გამომდინარე ვენები. რაოდენ უსიამოვნოც უნდა იყოს ამის აღიარება, რეალობას ვერსად გავუქცევით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული მწერლობის ახალი — საბჭოთა თაობა, უმეტესწილად, ქართული არისტოკრატიის წრეებიდან არ მოდიოდა. საზოგადოების ამ ფენას ცისკვემეთში ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლისას არაეტიკური ნორმების დამკვიდრება ცოცხად არ მიიჩნეოდა. ამის სათავე, უწინარესად, ადამიანის ბუნებაშია საძებნელი, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, თუ როგორი პოლი-

ტიკური ამინდი იდგა ქვეყანაში. ხელისუფლების, ქვეყნის ძალადობრივი გზით მიტაცება ზნეობრივი ნორმების რღვევასაც განაპირობებს. როცა უარს ამბობს ღმერთზე, ეკლესიას ნანგრევებად აქცევს, ყველაფერი იოლდება. „საბა ვახტანგურში“ ეს თეზა თვალახილულია. ვახტანგ ქელიძე ხომ გარემოებათა გამოისობით ლიტერატურული მოვლენების შუაგულში ტრიალებდა. მის ირგვლივ იყრიდა თავს ბევრი ისეთი პროცესი, რაც ლიტერატურისა და სახელმწიფოს ურთიერთობას განაპირობებდა. იგი არა მხოლოდ მოვლენების შუაგულში იდგა, სიტუაციებს ქმნიდა და წარმართავდა კიდევ პროცესებს. იქნებ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ესა თუ ის ჩინებული პოეტი, გინდა — პროზაიკოსი. ამდენად მასში წარმოჩენილია ყველა ის ტენდენცია, რაც ამ დროს, შემოქმედებით პროცესს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, „საგა ვახტანგური“ შემადგენელი ნაწილია მეოცე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურის ისტორიისა. როსტომ ჩხეიძე კი ყველაფერ ამას რელიეფურად წარმოგვიდგენს. აქ შეხედებით ცოცხლად დახატულ სახეებს ქართველი მწერლები, სახელმწიფო მოღვაწეებისა, მეცნიერებისა. მათი შეხვედრები, დაპირისპირების ამსახველი პასაჟები ცხოველი ინტერესით იკითხება და წარმოაჩენს იმას, თუ ვინ რა სულისკვეთებით იღვწოდა, ცხოვრობდა. დღეს, როცა ეს პიროვნებები სამზეოზე აღარ არიან, ზოგჯერ არცთუ სახარბიელო სახით წარმოგვიდგებიან. იქნებ, უსიამოვნო შეგრძნებაც კი დაგეუფლოთ, რადგან ამ პოეტის, თუ პროზაიკოსის რამდენიმე ლექსი, მოთხრობა დღესაც ჩვენთან არის, მეხსიერებაში ჩინებულ პოეტად, პროზაიკოსად, მეცნიერად თუ მოღვაწედ აღბეჭდილია და მისი ესა თუ ის უღირსი საქციელი დღემის წინაშე გაყენებს. ვერ ვიტყვი, რომ ამ პასაჟებს აღფრთოვანებული ვკითხულობდი და სიამოვნებას განვიცდიდი, მაგრამ...

ასე გავიზარდეთ — დიდებული ლექსის, მოთხრობისა თუ რომანის ავტორი ჩვენს შემეცნებაში დიდებულ პიროვნებად ყალიბდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა. გვიან გადაცნობიერეთ, რომ შემოქმედებითი პროცესის ნაყოფი და შემოქმედის ყოფა ზოგჯერ კონტრასტულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ყოფა ბევრ უკუსაგდებ, თავის ასარიდებელ რეალობას წარმოშობს და ჩიხურ სიტუაციასაც კი ქმნის. მოგვწონს? რასაკვირველია, არა, მაგრამ ჩვენი მონონება-არმონონება აქ არაფერს ცვლის.

როსტომ ჩხეიძის საგაში ბევრი ამგვარი სიტუაცია აღწერილი. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ისეთ ფაზაში შევიდა, ამგვარი „მხილებანი“ მომავალში მეტი იქნება. როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ამ ტენდენციის მიმართ? რად მიუჩინოთ იგი — გამოსაფხიზლებლად თუ განსაწმენდლად? გარდასულთა განმწმენდა ფანტასტიკის სფეროა. საფიქრალი ამჟამინდელი და მომავალი თაობებია. არსებული რეალობა — ადამიანური სისუსტე მივიღოთ, როგორც გარდაუვალი და თვალდავზუჭოთ იმაზე, რომ დღეს როსტომ ჩხეიძის კალმით წინა თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ასე უსიამოდ გამოიყურება თუ იმავე როსტომ ჩხეიძის მეთოდით ვებრძოლოთ მას — ჩვენი ლიტერატურული კერპების შეცდომები არ დაფაროთ. იქნებ, ვირჩიოთ და მწერლების ცხოვრება კი არ ვკითხოთ, არამედ თავად მწერლები? თორემ ვაითუ, თითზე ჩამოსათვლელი დაგვრჩეს მალაზნეობრივი გმირების შემქმნელი, დიდი ზნეობის მოქადაგე ყოფაშიც მალაზნეობრივი შემოქმედნი.

რაოდენ უსიამოვნოც უნდა იყოს „საგა ვახტანგური“ ზოგიერთი პასაჟის კითხვა, იმის ხილვა, მავანი ნიჭიერი, ჩინებული შემოქმედი როგორ გაუტაცინა თვითგანდიდების მანიას, ისე დაუჯერებია თავისი განსაკუთრებულობა, ვერც კი გრძნობს თავის დამამცრობელ საქციელს რომ სჩადის, ეს ერთი მწერლის თვალთ დახახული რეალობაა, მაგრამ იმასაც უნდა ველოდოდ, რომ ხვალ სხვა როსტომ ჩხეიძე მოვა, მოვა თავისი რეალობით...

22 სექტემბერი. 21 საათი და 30 წუთი. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მკითხველმა საზოგადოებამ რუსთაველის თეატრის წინ თავმოყრა. მათთან ერთად იყვნენ მწერლები, პოეტები, მთარგმნელები, ლიტერატორები, „საბას“ ლაურეატები, წლევედელი ნომინანტები. იყვნენ ბილეთებით, მოსაწვევებით, თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არც ერთი ქონდათ და არც — მეორე და მაინც ცდილობდნენ შეღწევას ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის — „საბას“ — დაჯილდოვების ცერემონიაზე.

გარეთ არავინ დარჩენილა. რუსთაველის თეატრში სრული ანშლავი იყო. ლიტერატურის სიყვარულმა და ჟიურის რჩეულების დასახელების მოლოდინმა ყველა გააერთიანა. იყო ინტრიგაც — თიბისი ბანკის ხმამაღალი განაცხადი — პროექტის — „ეპოქის ხმები“ — წარდგენა, რომელიც საგანგებოდ „საბას“ დაჯილდოვების ცერემონიისთვის შეიქმნა და პრემიერაც აქ შედგა. თითოეულ კომპოზიციას (კომპოზიტორები — არჩილ გიორგობიანი, ზვიად ბოლქვაძე, მიხეილ მდინარაძე, ნატალია ბერძე, ნიკა მაჩაიძე) საფუძვლად დაედო აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოთარ ჭილაძისა და ანა კალანდაძის ლექსები. რუსთაველის თეატრში ოქროს ფონდში დაცული დიდი მწერლების ხმები გაისმა.

## ლიტერატურული ანშლავი რუსთაველის თეატრში



22 საათი. „საბას“ დაჯილდოვების ცერემონია დაიწყო. დაიწყო ისევე პომპეზურად, როგორც ეს მის ორგანიზატორებს სჩვევიათ. ამ ლიტერატურულმა პრემიამ წელს მეთორმეტედ უმასპინძლა ლიტერატურის მოყვარულებს და მეთორმეტეჯერ მიანიჭა დიდი სიხარული ჟიურის რჩეულებს. „საბას“ დაჯილდოვებას თავისი ტრადიცია აქვს და ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. საზოგადოებას პირველმა პოეტმა რატი ამალობელმა მიმართა. პრემიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ისაუბრა წლევედელ ლიტერატურულ „უხე მოსავალზე“ და ისიც გაიხსენა, რომ 2003 წელს, როცა საფუძველი ჩაეყარა „საბას“, სულ 100-მდე წიგნი იყო განსახილველი, წელს კი ნაწარმოებთა რიცხვმა 340-ს მიაღწია.

ნომინაციების გამოცხადებამდე ჟიურის წევრები წარადგინეს, რომელთა ვინაობა, როგორც წესი, გასაიდუმლოებულია ხოლმე. თუმცა, საქართველოში ძნელია, ამ საიდუმლოს ფარდა ბოლო დღემდე არ აეხადოს. საზოგადოების ნაწილისთვის კულუარულად რამდენიმე სახელი და გვარი ცნობილი იყო — ფილოლოგი ლევან ბერძენიშვილი, პოეტი ანდრო ბუაჩიძე და პუბლიცისტი ბიძინა მაცაშვილი. დრამატურგ მანანა დოიაშვილისა და მწერალ ბასა ჯანიკაშვილის ჟიურში ყოფნა კი ბევრისთვის მართლაც სიურპრიზი აღმოჩნდა. სწორედ ამ ადამიანების ხელში იყო ის 340 წიგნი, რომლის ავტორიც წელს მათ გადაწყვეტილებას ელოდა. ბუნებრივია, თითოეული მათგანისთვის (მარტის დასაწყისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ეცნობოდნენ წარდგენილ წიგნებს) არ იქნებოდა ყველაფერი ეს იოლი. ალბათ, ამიტომაც, მთელი საღამოს მსვლელობისას დამფუძნებლებიც და ჟიურის წევრებიც, ერთგვარი მობოდიშების რეჟიმში იყვნენ საზოგადოების წინაშე, როცა თავის გადაწყვეტილებას ხმამაღლა აცხადებდნენ. რატი ამალობელმა ისიც კი თქვა, დაიხა, უნდა აღგვედგინა კამათის სურვილი და ასე დავებრძოდეთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან.

ტრადიციულად, პირველი ნომინაცია იყო წლის საუკეთესო დებიუტი. წარდგენილთაგან (ლია ლიქოკელი „დევის ცოლის სიცილი“, „საუნჯე“, ლაშა მილორავა „ბაბუა ბუკოვსკი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ტორესა მოსი „სიბრძნესი ცირუსისა“, „პალიტრა ლ“, რუსუდან რუხაძე „ჩაისთან მოსაყოლი ამბები“, „ინტელექტი“, ანინა ტეფენაძე „ჩემი შეყვარებულის შეყვარებული“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თორნიკე ქელიძე „კონცენტრიკული წრეები“, „ინტელექტი“, გურამ ჯახუტაშვილი „თევზის ოთახი“, „სიესტა“) საუკეთესოს ვინაობის გამოცხადებლად სცენაზე ჟიურის წევრი ბიძინა მაცაშვილი ავიდა, რომლისთვისაც „საბას“ ჟიურის წევრობა არა, მაგრამ საუკეთესო დებიუტანტისთვის „საბას“ გადაცემა დებიუტი აღმოჩნდა. „იმის გამო, რომ მართლაც ბევრმა ნიჭიერმა მოიყარა თავი, გადაწყვიტეთ, ეს ჯილდო გაგვეყოფოდა — პოეტურ და პროზაულ ნაწილად, — აღნიშნა ბიძინა მაცაშვილმა და პოეზიაში საუკეთესოდ ლია ლიქოკელი, ხოლო პროზაში — ტორესა მოსი დაასახელა. ზოგადად, ეს ნომინაცია ხშირად ბადებს ხოლმე კითხვებს, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან არცთუ იშვიათად დებიუტანტები არიან პროზაიკოსებიც, პოეტებიც, მთარგმნელებიც, დრამატურგებიც, პუბლიცისტებიც და მართლაც ძნელია, ამ ჟანრობრივი მრავალფეროვნებიდან მხოლოდ ერთი ნიშნით გამოარჩიო საუკეთესო. სამომავლოდ, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ „საბას“ დამფუძნებლები ამ საკითხზე იმსჯელებენ და ჟანრობრივ სიმრავლეს ოდნავ მაინც შეამცირებენ.

წლის საუკეთესო პიესა (ლაშა ბულაძე „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, დავით გაბუნია „პიესები“, „დიოგენე“, თეონა დოლენჯაშვილი „გაქცევა“, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, ირაკლი სამსონაძე „კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით“, „ინტელექტი“) დრამატურგმა მანანა დოიაშვილმა დაასახელა.



დასასრული

თუმცა ჟიურის გადაწყვეტილების ხმა-  
ლა გაჟღერებამდე, აღნიშნა: „როდესაც  
მოვდიოდი ჟიურში, ზუსტად ვიცოდი,  
გადაწყვეტილებას უმრავლესობა მიიღებ-  
და და არ მქონია იმის ილუზია, რომ ერთ-  
პიროვნულად რაიმეს შევძლებდი. ჩემდა  
სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ აღმოჩნდა  
უმცირესობაში, მოყოლებული ლონგლის-  
ტიდან ბოლომდე, ხანდახან მარტოც კი. ამ  
ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ მინდა,  
ყველა ის ღირსეული ავტორი, რომელიც  
მგონია, რომ უნდა ყოფილიყო დღეს მინი-  
მუმ ფინალისტი მაინც, გავამხნეო და  
ერთგვარი ბოდიში მოვუხადო. ამის უფლე-  
ბას ვაძლევ ჩემს თავს ერთადერთი მიზეზის  
გამო — თავად ვარ ავტორი, რომელიც  
სამჯერ იყო „საბას“ ფინალისტი და არც  
ერთხელ არ აუღია პრემია. თუმცა დღეს  
თქვენს წინაშე წარვსდები როგორც ჟი-  
ურის წევრი. ასე რომ, ყველაფერი წინ  
არის“. ამ შესავლის შემდეგ გამოცხადდა  
საუკეთესო პიესის ავტორიც — დავით  
გაბუნია, რომლის ემოციებიც ძალიან გავ-  
და „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონი-  
აზე გამარჯვებულთა გამოსვლებს. ეს  
არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ  
მის მჭიდრო კავშირს თეატრალურ სამ-  
ყაროსთან.

პიესას საუკეთესო ლიტერატურული  
კრიტიკა მოყვა (ამირან გომართელი  
„კლასიკოსების ფარული მხატვრული პო-  
ლემიკა“, „უნივერსალი“; თამაზ კვაჭანტი-  
რაძე „განსჯანი“, „ილიელი“, ნონა კუპრე-  
იშვილი „სიტყვის დეგუსტაცია“, „საუნჯე“).  
საუკეთესო კრიტიკოსის დასახელება ბასა  
ჯანიკაშვილმა ითავა, რომელმაც 300-ზე  
მეტე წიგნის წაკითხვის სირთულეზე  
გამაძვირებელი ყურადღება და აღნიშნა, რომ  
სულ სხვაა, როცა წიგნს სიამოვნებისთვის  
ეცნობი და გაცილებით ძნელია, როცა  
ვალდებული ხარ, წაიკითხო. ლიტერატუ-  
რული პრემია „საბა“ კი საუკეთესო ლიტ-  
ერატურული კრიტიკისათვის თამაზ  
კვაჭანტირაძეს ხვდა წილად.

წლის საუკეთესო ესეისტიკისა და დო-  
კუმენტური პროზის (ლევან ბრეგვაძე „მოგ-  
ზაურობა ლე კოკაზ ილიუსტრეს ფურ-  
ცლებზე“, „არტანუჯი“; გოგი გვახარია  
„ცრემლიანი სათვალე“, „ბაკურ სულაკაუ-  
რის გამომცემლობა“; იური ვაჩნაძე  
„საუბრები მუსიკაზე“, ელექტრონული  
წიგნების სახლი „საბა“; დავით ზურაბიშ-  
ვილი „ესეები“, „სიესტა“; ზურაბ კიკნაძე  
„სიტყვითა და საქმითა“, „ინტელექტი“; აკა  
მორჩილაძე „ქართულის რვეულები — XIX  
საუკუნის სურათები“, „ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა“; ბექა ქურხული „ჩანაწ-  
ერები 1993-2011“, „ინტელექტი“; მაკა ჯოხ-  
აძე „ჩაძირული ინტელექტი“, „ინტელექ-  
ტი“; მალხაზ ხარბელია „მამაჩემი, ბობ დი-  
ლანი და კაცი საკაბელოდან“, „დიოგენე“)   
გამარჯვებული ლევან ბერძენიშვილმა  
გააჟღერა, რომლის პირველივე წი-  
ნადადებამ მიაწინა საზოგადოების  
გარკვეული ნაწილი, თუ ვინ იყო ჟიურის  
რჩეული: „ამ 20 წლის წინ სულ სხვა  
კონკურსის — „მანას“ — საუკეთესოს და  
გამარჯვებულის გამოსავლენად იმ  
კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ თქვა,  
რომ არ უნდა იყოს ფარისეველი, არ ჩაიხე-  
დავს და ისე იტყვის, ვინ არის გამარჯვე-  
ბული. მეც ასე მოგახსენებთ. ნამდვილად  
ვიცი, ვინ არის გამარჯვებული...“ შემთხ-  
ვევით არ იყო „მანას“ სხენება, რადგან  
„მანა 94“-ის ჟიურის თავმჯდომარე ნლე-  
ვანდელი „საბას“ რჩეული იყო. ნომინაცია-  
ში — საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენ-  
ტური პროზა — გოგი გვახარია გაიმარ-  
ჯვა, რომელიც დარბაზში არ აღმოჩნდა და  
მისთვის განკუთვნილი ჯილდო გამომცე-  
მელს — თინა მამულაშვილს გადაეცა.

საუკეთესო თარგმანად (ია ბერსენაძე  
— ორჰან ფაშუქის „გულუბრყვილო და  
სენტიმენტალური რომანისტი“, „დიო-  
გენე“; დავით კაკაბაძე — არტურ შნიცე-  
ლის „ბენეფისი“, „ბაკურ სულაკაურის გა-  
მომცემლობა“; დავით კახაბერი — მიშელ  
უელბეკის „რუკა და ტერიტორია“, „ბაკურ  
სულაკაურის გამომცემლობა“; გიორგი



# ლიტერატურული ანუ ლაბი რუსთაველის თეატრში



გოგიელი — ლუის კეროლის „ელისის თავ-  
გადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“,  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;  
გიორგი ლობჯანიძე — თანამედროვე  
სპარსული დრამატურგია, „არტანუჯი“;  
ზვიად რატიანი — ტომას სტერნზ ელი-  
ოტის „უნაყოფო მინა“, „დიოგენე“; ქეთი  
ქანთარია — ფილიპ როთის „პორტნოის  
სინდრომი“, „დიოგენე“; ნინო ქავაია —  
ჯულიან ბარნსის „ფლობერის თუთიყუში“,  
„დიოგენე“; ზაზა ჭილაძე, გია ჭუმბურიძე  
— რადიარდ კიპლინგის „კიმი“, „დიოგენე“;  
ნანა ჯანაშია — ორჰან ფაშუქის „შავი წიგ-  
ნი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“)  
ანდრო ბუაჩიძემ გიორგი გოგიელისეული  
„ელისის თავგადასავალი საოცრებათა  
ქვეყანაში“ დასახელა, რომელმაც ვერ  
დამალა თავისი დამოკიდებულება გამარ-  
ჯვებული ავტორისა და წიგნისადმი და

აღნიშნა: „მართლაც ბედნიერი და გახარე-  
ბული ვარ არაჩვეულებრივი მთარგმნე-  
ლის, ავტორისა და წიგნის გამოცხადება რომ  
მინევს. როდესაც მაღალ დონეზე ითარგ-  
მნება უცხოენოვანი წიგნი, ის ქართული  
ლიტერატურის კუთვნილება ხდება“.

საუკეთესო პროზაული კრებულის (დი-  
ანა ანფიმიადი „პირადი კულისნარია“,  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;  
არჩილ ქიქოძე „ჩიტის და კაცის ამბავი“,  
„სიესტა“; ბაჩო კვიციანი „ტასმანიური  
ვეფხვი“, „საუნჯე“; ირმა ტაველიძე „აღმო-  
სავლეთის გამოგონება“, „დიოგენე“; ბექა  
ქურხული „ქალაქი თოვლში“, „სიესტა“)   
გამოვლენას, როგორც ბიძინა მაცაშვილ-  
მა აღნიშნა, დიდი ვნებათაღელვა მოყო-  
ლია. ეს დისკუსია დიდხანს გაგრძელბუ-  
ლა, თუმცა უმრავლესობის გადაწყ-  
ვეტილებით „საბა“ არჩილ ქიქოძეს ერგო.

როგორც აღმოჩნდა, ჟიურის წევრები-  
სთვის არც საუკეთესო პოეტური კრებუ-  
ლის (სალომე ბენიძე „ამბავი უძინართა“,  
„ინტელექტი“; ეკა ქვენიშვილი „სახლის  
გაყიდვა“, „საუნჯე“; ბათუ დანელია „სიყ-  
ვარული ბალასტია“, „დიოგენე“; გიორგი  
ლობჯანიძე „არაბულის მასწავლებელი“,  
„საუნჯე“; გაგა ნახუცრიშვილი „ორი ათას  
13“, „სიესტა“) გამოვლენა ყოფილა ად-  
ვილი. ანდრო ბუაჩიძემ ფართო საზოგა-  
დოებას გაანდო, თუ როგორ მიიღეს საბ-  
ოლოო გადაწყვეტილება: „დიდი  
კონკურენცია იყო. ვფიქრობდით იმას,  
რომ პოეზიამ არ უნდა დაკარგოს თავისი  
პირველქმნილება, ემოციური ზემოქმედე-  
ბის უნარი, რაღაც ისეთი ტალღა, რომლის  
გარეშეც პოეზია პოეზია არ არის. ხანგრ-  
ძლივი ფიქრის შემდეგ მივიღეთ გადაწყ-  
ვეტილება... ჟიურის წევრებმა არჩევანი  
ეკა ქვენიშვილის პოეტურ კრებულზე  
შეაჩერეს.“

წლის საუკეთესო რომანისთვის ოთხი  
ავტორი — აკა მორჩილაძე („მორიდბუ-  
ლი ზურმუხტი“, „ბაკურ სულაკაურის გა-  
მომცემლობა“), ეკატერინე ტოგონიძე  
 („ასინქრონი“, „ბაკურ სულაკაურის გამომ-  
ცემლობა“), ლაშა ბულაძე („Lucrecia 515“,  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) და  
ზვიად კვარაცხელია („ფორმა №100“, „ინ-  
ტელექტი“) — იბრძოდა. ჟიურის გადაწყ-  
ვეტილებით „საბას“ ლაურეატის წოდება  
ზვიად კვარაცხელიამ მოიპოვა.

„საბას“ არსებობის მანძილზე გაიზარ-  
და ნომინაციების რაოდენობა. უკვე მეორე  
წელია, პრემია გაიცემა საუკეთესო უცხო-  
ენოვანი თარგმანისთვის. ეს ნომინაცია  
იმთავც არის მნიშვნელოვანი, რომ ის უცხო-  
ელი მკითხველისთვის ქართული ლიტერ-  
ატურის პოპულარიზაციას ემსახურება. ამ  
მხრივ აღსანიშნავია კულტურისა და ძელ-  
თა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნ-  
ისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პრო-  
გრამის ნაყოფიერი მუშაობა. ამ პროგრამის  
ფარგლებში გახდა შესაძლებელი, 2013  
წელს ექვს ენაზე თარგმნილიყო და უცხო-  
ეთში გამოცემულიყო 13 მწერლის ნაწარ-  
მოები. სწორედ ამ თარგმანებს შორის  
საუკეთესო დასახელება „საბას“ დაჯილ-  
დოების ცერემონიაზე და ლიტერატუ-  
რული პრემია წილად ხვდა დონალდ რეი-  
ფილდს, რომელმაც მსოფლიო ინგლი-  
სურენოვან მკითხველებს ოთარ ჭილაძის  
„აველუში“ გააცნო.

„საბას“ ტრადიციათაგან უმნიშვნელო-  
ვანესია ჯილდო, რომელიც ქართული ლიტ-  
ერატურაში შეტანილი განსაკუთრებული  
წვლილისთვის გაიცემა. 12 წლის მანძილზე  
„საბა“ გადაეცათ ვახტანგ ჭელიძეს, ბაჩა-  
ნა ბრეგვაძეს, ოთარ ჩხეიძეს, ანა კალან-  
დაძეს, თამაზ ჩხეიძეს, ვახუშტი კო-  
ტეტიშვილს, ჭაბუა ამირჯიბის, გურამ  
დორანაშვილს, ვახტანგ ჯავახიძეს, რეზო  
ჭეიშვილსა და ზურაბ კიკნაძეს. ამ  
ტრადიციის შემადგენელი ნაწილია ისიც,  
რომ ქართული ლიტერატურის მოამაგეს  
საზოგადოებას ყოველთვის ერთი და იგივე  
ადამიანი, თიბისი ბანკის ხელმძღვანელი  
და ლიტერატურული პრემიის ერთ-ერთი  
დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე წარუდ-  
გენს და „საბასაც“ თავად გადასცემს. წელს  
ლიტერატურული პრემია „საბა“ ქართულ  
ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრე-  
ბული წვლილისთვის გადაეცა პოეტსა და  
მთარგმნელს, დავით წერეთელს.

ასე დასრულდა 2014 წლის, რიგით მე-  
თორმეტე, „საბა“. დასრულდა მორიგი დე-  
ბიუტანტების, პოეტური კრებულების,  
რომანების, თარგმანების, პროზაული კრე-  
ბულების, ესეების, დოკუმენტური პროზის,  
პიესებისა და კრიტიკული წერილებისა თუ  
რეცენზიების მოლოდინში. 2015 წლის და-  
ჯილდოების ცერემონიაში მამუკა ხაზარაძე  
ლაურეატების გაცნობა, ფინალისტების  
ნაწარმოების წაკითხვა მარტივად შეგი-  
ძლიათ — ვნეით ელექტრონული წიგნე-  
ბის სახლ „საბას“, სადაც თითოეული წიგნი  
გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე — წიგნის  
მაღაზიებში. იყიდეთ, გადმოწერეთ და თა-  
ვად განსაჯეთ, რამდენად გემოვნებიანი  
ჟიური ყავდა წელს „საბას“. „საბა 2014“-ის  
ნომინანტები ახლა თქვენს არჩევანს ელო-  
დებიან.

თეა ყიფშიძე

## ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com